ეროვნული ბიბლიოთეკა

საყმაწვილო ნახატებიანი

ყურნალი

იზარდე, მწვანე ჯეჯილო,
დაპურდი, გახდი ყანაო!..
ი. ჯ.

№ VII

წელიწადი მეშვიდე

ტფილისი
სტამბა მ. ჯ. როტინიანცისა || Тип. М. Д. Ротиніанца. Гол. пр., д. № 41.
1896.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Дозволено цензурою Тифлисъ, 11-го Іюля 1896 года.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამა და შვილი.

იგომ ერთ დილით ვენახში,
ჩიტი შეიპყრო ბეღურა,
მოეწონა და სიამით
სახლისკენ გამოეშურა.
მივიდა მამას ახარა:
—„აბა უყურე მამაო,
ეს მასარგებლა დღეს დილით
მე ადრე ადგომამაო.“
მამამ მიუგო ღიმილით:
—„ადრე ადგომა კარგია,
მაგრამ მითხარი, ეგ ჩიტი,
აბა რისათვის გარგია?“
—„ან რას დამაკლებს, მამილო,
შაქარი გვაქვს და ჰურიო!“
არა შვილიკო, მოიცა
წუნარათ მომაპყარ ყურიო:
მითხარი, ჩიტსა ბუდეში
განა არ ჰყავდა შვილები?“
—„ოჰ, როგორ არა, მამილო,
მერე როგორი წვრილები!“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

—,,მაშ აბა, შვილო, უდედოთ
მარტო ხომ დაღონდებიან.''
—,,რათა? მამა ხომ იქა ჰყავთ?
ისე ვერ დაიზდებიან?''
—,,ჩემო პატარავ, მაღონებს,
შენი სიტყვების კილოვო:
დედა მოგტაცონ, მარტოკა
აბა რას იზამ შვილოვო?''
— ,,ეს ჩიტი არის და მეკი,
ადამიანის შვილიო!''
—,,ეჰ, არა შვილო, ყველანი
ვართ უფლის გაჩენილიო.
როგორც რომ შენ აქ უდედოთ
გაძლება გიჩანს მნელათო,
აგრე მაგ ჩიტსა უმათოთ
ღღე შეეცვლება ბნელათო;
ეგ აქ მოკვდება ნაღვლითა,
იქ, ბარტყებს, წვიმა, ქარიო
დაჭბერავს ობლათ დარჩენილთ
ღღე დაადგებათ მწარიო.
მერე მშიერებს რომ შესცივათ,
რა მწარეთ დაგწყევლიანო!..''
—,,ოჰ, კმარა, მამავ, ნუ მეტყვი,
მეტი არ შემიძლიანო!..''

ეროვნული ბიბლიოთეკა

გული მოულბა ჰატარას,
ესეც დაღონდა ჩიტივით
და ორი ცრემლი ლოყებზე
დაგორდა მარგალიტივით.
—„წავიყვან, მამავ, ბუდეში
მალიან მეცოდებაო!“
—„აგრე გაუშვი, ბუდემდის
თითონვე მიფრინდებაო.“
გიგომ აკოცა და უთხრა:
—„ჩიტუნი, გენაცვალეო,
ახლა გაგიშვებ, გაფრინდი,
შვილებს მიხედე მალეო!“
ჩიტმა შეჭყივლა სიამით,
გაფრინდა როგორც ისარი;
ვინც შეიბრალებს ობლებსა,
ქვეყნათ საქები ის არი.

მ. ლელაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორი მეგობარი

ესამე გაკვეთილი გათავდა. სკოლის ეზოში საშინელი ჟრიამულით გამოცქრიალდენ ბავშები და სწრაფათ მოედვენ მთელ მიდამოს; ზოგმა ბურთი ვააგდო, ზოგმა საკორწიალოს მიმართა და ზოგიც მკვირცხლათ გარბოდა ერთი კუთხიდან მეორესკენ; სტუნავდენ, ცელქობდენ და ერთი მეორეს ეჯიბრებოდა სიმარჯვე-სისწრაფეში. ათი-თერთმეტის წლის თომა მორცხვათ მიმდგარიყო სკოლის კიბესთან და მომღიმარე სახით შეჰყურებდა სხვების თამაშს. ოთხი-ხუთი დღის მისული იყო სკოლაში თომა და ჯერ კიდევ ვერა ბედავდა სხვების აყოლას. ბუნებით დინჯი და კეთილი თომა მშობლიურის მზრუნველობით დაარიგა თავისმა დედამ, როცა სკოლაში ისტუმრებდა და, შვილსაც არ დავიწყებია დედის სიტყვები: ,, შვილო, ცოტა რამ მაინც ისწავლე, რომ შენი საწყალი დედა სიბერის დროს გაახარო ვო; სხვებს ნუ აჰყვები, ნუ იცელქებ, ნურავის აწყენიებ, ყველასთან ზრდილი და თავაზიანი იყავი და ყველას შეუყვარდებიო!',

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს სიტყვები ღრმათ ჩაიბეჭდა თომამ თავისს გულში და ამიტომაც ასე მოკრძალებით იდგა განცალკევებულსთ. გულ-უბრუვილო ბავში იმასაც კი ფიქრობდა:— ვაი თუ სხვაზე უფრო მეტი სიმარჯვე გამოვიჩინო და ამით ვაწყენინო ჩემს ამხანაგებსაო.

— შენ რავა კუთხეში მიმდგარხარ? წამოდი ითამაშე,— უთხრა ერთმა შაგვრემანმა ბავშმა თომას, რომელიც თავაზიანათ დამორჩილდა ახლათ გაცნობილ ამხანაგის სურვილს და ნელის ნაბიჯით გაჰყვა, მაგრამ იმათ ჟრიამულში მონაწილეობა არ მიუღია. მისი ამხანაგი მალე შეუერთდა სხვებს; არც კი შეუნიშნავს, რომ თომა ახლა მეორე კუთხეში გაჩერდა და მხოლოთ ღიმილი გაუთამაშდებოდა ხოლმე სახეზე, როცა რომელიმე ბავში თავ-გამეტებით მოარბეინებდა ბურთს და მეორეც, სახე გაჭარხლებული, მოსდევდა მას. აგერ, თომას წინ, სწორეთ იმ ბავშმა გამოირბინა, რომელმაც თომა გაიწვია სათამაშოთ, მაგრამ ახლა არც კი შეუნიშნავს იმისი აქ დგომა. თომას ბავშურმა სიჩქარემ წასძლია და უნდოდა დაეძახნა: „აგერ დაგეწია, დაგეწიაო“, მაგრამ უცბათ შეჩერდა... იმის გვერდით გაჩერდა ორი მოწაფე და მადიანათ დაუწყეს თორნის ჰურს ჭამა. ერთი მათგანი უფრო გაცხარებით ებჭობოდა მეორეს და თანაც დიდრონ ლუკმებსა კბეჩავდა, ეტეობოდა, ჩქარობდა... თომასაც მოაგონდა თავისი ჰური, რომელიც დედამ ჩანთაში ჩაუდო და გამოატანა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ჩანთა სკოლაში ჰქონდა და წასვლისა და მოსვლის დრო აღარ იყო, რადგან მეოთხე გაკვეთილი მალე დაიწყებოდა. „სულ ერთია,— გაიფიქრა თომამ— ჯერ მაინც არ მშია და რაც უფრო გვიან ვჭამ,— უკეთესია. დედა ჩემი მაინც შინ არ არის და მეტი არც კი ჰქონდა რამე, რომ შინ დაეტოვებია ჩემთვის. ესენი მდიდრები არიან,— მამა ჰყავთ— და მე კი ობოლი ვარ... უკეთესია, რომ მერე ვჭამო, თორემ“... აქ კი ათასნაირმა ფიქრმა გაუელვა თავში ჰატარა თომას, ერთი მძიმეთ ამოიოსრა და იმის მომლიმარე სახეს მოწყენილობის ნიშანი დაეტყო.

მხიარულათ მოთამაშე ბავშები მალე დაშალა სკოლის ზარის ხმამ; ყველა დაწყნარდა, ყველა სკოლისაკენ გაემართა...

II.

— შენ რომელ ქუჩაზე დგეხარ?— შეეკითხა ერთი მოწაფე თომას, როდესაც ისინი სამრეველო სასწავლებლის ეზოს გასცდენ.

— მე კარგა შორს ვდგევარ,— სულ ქალაქის ბოლოს,— ჩვენს იქით აღარც კი არის ვინმე მოსახლე.

— მერე როდის უნდა მიხვიდე შინ? ხომ ძალიან დაგაგვიანდება!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დამაგვიანდება, მაგრამ რა ვქნა!.. დედაჩემი მაინც არ არის დღეს სახლში.

— სად არის?

— სხვის სარეცხს რეცხავს — ნაღვლიანათ მიუგო თომამ — ორი დღეა იქ მუშაობს და ამ საღამოს ფულს მოიტანს და მოვა.

— მამა?

— მამა არა მყავს. ხოლერით მოკვდა. ძალიან კარგი კაცი იყო მამაჩემი; მახსოვს, საღამოს რომ მოვიდოდა სოლმე შინ, ყოველთვის მოგვიტანდა რამეს, ხელ-ცალიერი არასოდეს არ მოვიდოდა სახლში. ახლა კი... მჭ... — ამოიოხრა ჰატარა ბიჭმა და აღარ დაასრულა თავისი სიტყვა.

— აბა ვინ დაგასვენებს სადილს, თუ დედაშენი სხვაგან არის?

— არავინ! ჰური აქა მაქვს და ვჭამ, — მიუგო თომამ და ხელი ჩაჰყო ტილოს ჩანთაში, თითქო უნდოდა დაერწმუნებია ამხანაგი, რომ მართალს ვამბობო, მაგრამ ჩანთაში ჰური აღარ იყო.

— არ ვიცი, ღმერთმანი, დედამ კი გამომატანა ჰური და, მერე რა იქნა არ ვიცი!.. — ცოტა არ იყოს, დაბნევით თქვა თომამ და სულ ერთიანათ გაწითლდა, რომ ასე ტყუილი გამოდგა მისი სიტყვა. თომა იმას კი არ წუსდა რომ მთელ დღეს მშიერი უნდა დარჩენილიყო, ის აწუხებდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ამსანაგთან თითქოს იცრუვა, თუმცა მართალი კი თქვა.

თომაზე უარეს მდგომარეობაში ახლა მისი ამსანაგი ნიკო იყო. იმას მთელ სახეზე სირცხვილის ალმური მოედო, საშინელი სიბრალული იგრძნო და, თითქო დამუნჯდაო, სიტყვის თქმას ვეღარ ახერხებდა. „მე ხომ იმ განზრახვით არ მიქნია რომ მართლა ქურდობა ჩამედინა, ამისთვის დამეკლო... მინდოდა გამომეცადა—ვის დაებრალებდა, რას იტყოდა, მაგრამ ეს არავის არ აბრალებს და მთელ დღეს კი მშიერი უნდა დარჩეს ჩემი ცუღლუტობის წყალობით... მერე ისიც ობოლი, უმამო... „რა საცოდავათ იხედება, რავა ნელა ადგამს ფეხებს!“ ფიქრობდა ნიკო და ცრემლებს ვეღარ იკავებდა. აჰა, კიდეც გადმოსქდა შეგუბებული მდუღარება, იმის შეწუხებულ სახეზე ობოლ მარგალიტებივით გადმოკრიალდა ცრემლის ნაკადული.

— რატომ ტირი? მამა ხომ ჰგეავს? ბავშურის სითამამით ჰკითხა თომამ, როდესაც ნიკოს ცრემლებს გულამოსკვნილი ქვითინიც მოჰყვა.

—ეავს,—მოკლეთ მიუგო ნიკომ, და უფრო უარესად ჩასწყვიტა გული ამსანაგის ამგვარმა კითხვამ.

—დედა?

— დედაც.

—აბა რატომ ტირი? დედაჩემიც ხშირათ ტირის მამაჩემს. ხშირათ მიდის ეკლესიაში და უვავილები მიაქვს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამიჩემის საფლავზე... თქვენ ბაღი გაქვთ? აღარც კი დაუ-ცადა ნიკოს ჰასუხს, ისე ერთი მეორეში აურ-დაურია კი-თხვა და ამბავი თომამ.

—არა, ბაღი არა გვაქვს—მიუგო ნიკომ, მაგრამ რა-ტომ ტირიდა ეს კი არ უთხრა.

—ჩვენ კარგი ბაღი გვაქვს. მამაჩემის გაშენებულია. სახლი კი კარგი არა გვაქვს,—ფაცხა გვიდგია—მაგრამ რა ვქნათ!.. მარწყვიც ბევრია ჩვენ ბაღში. ზოგი შეთვა-ლულია და, თუ ხვალ დილას მწიფე იქნა, მოგიტან. ვარდებსაც მოგიტან, დედაშენს წაუღე,—წრფელის გულით შეტიტინებდა თომა თავის ამხანაგს.

—მადლობელი ვარ, მაგრამ მე... მე...—ვეღარაფერი თქვა ნიკომ. რცხვენოდა, ძალიან რცხვენოდა, რომ სკო-ლაში ახლათ შესულს ბავშს ჰური მოჭჰარა. ოჭ! რა ტკბი-ლათ სარხარებდა მაშინ—იმ მოლოდინით, რომ თომა ჰურს დაუწყებს ძებნას და სახა-მშრალი კი დარჩებაო,—რა მწარეთ იტანჯება ახლა?!. სირცხვილი, სიბრალული და მასთან თომას გულ-კეთილობა სწვავს საცოდავ ნი-კოს, მაგრამ რა ჭქნას, რით მოინანოს თავისი დანაშაუ-ლი!—თომამ შორი გზა უნდა გაიარონს, მთელ დღეს მშიე-რი უნდა იჯდეს შინ და ეს კი ახლავე, ამ ქუჩის მოსა-ხვევში მიადგება თავის სახლს, სადაც დედა მისი ჩინე-ბულ სადილს დაახვედრებს!.. ფიქრობს ნიკო და უახლოვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დება კიდეც ვიწრო ქუჩის შესახვევს, მაგრამ რეტ დასხ-
მულივით მიბარბაცებს, ფეხებს ძლივს მიათრევს.

—წამოდი, ჩემთან ჯამე სადილი და მერე მეც წამო-
ვალ შენთან,—ძლივს წამოილუღლუღა ნიკომ და თვალე-
ბი ამოიწმინდა—ნამტირალობა არ შემატყონ სახლშიო.

—მადლობელი ვარ,—ღიმილით მიუგო თომამ და
თავი ჩაღუნა, თითქო შერცხვა, რომ სიამოვნებისაგან სახე
გამოუცოცხლდა,—წამოვიდოდი, მაგრამ სახლი მარტო
არის დატოვებული და დედას კი ჩემი იმედი აქვს.—მშვი-
დობით—ღიმილითვე გაუწოდა ხელი ამხანაგს თომამ—
რა ახლოა შენი სახლი! ხვალ მოგიტან რასაც შეგპირ-
დი, გამოთხოვების დროს უთხრა ნიკოს და საჩქაროთ
გასწია.

ნიკომ ვეღარაფერი უთხრა, თუმცა დიდ სირცხვილს
გრძნობდა...

მთელი დღე უგემურათ გაატარა ნიკომ. არც
სადილი უჭამია, არც ვისთანმე რიგიანათ ულაპარაკნია,
აღარც მეცადინეობის გული ჰქონდა და საღამომ მოაწია
თუ არა, ერთიანათ მოთენთილ-მოწუვეტილი ჩაეგდო ლო-
გინში... საბედნიეროთ, ნიკოს დედას სტუმრები ეწვია და
იმათ გართობას მოუნდა, თორემ ძალა-უნებურათ გამო-
ტეხდა ნიკოს, რაკი ასეთ მდგომარეობაში ნახავდა. ბევრ-
ჯერ უცუღლუტია ნიკოს, ბევრჯერ გაუჯავრებია თავი-
სი ამხანაგები, მაგრამ არასოდეს ასე არ შეუწუხებია თა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვის მოქმედებას. განუწყვეტლათ ერთი და იგივე ასრი უტრიალებდა თავში:— „ჩემის მოქმედებიო მშიერი დარჩა ობოლი ბავში, რომელსაც ჩემთვის არაფერი არ დაუშავებია...“— მთელი ღამე ასეთი შფოთვით გაატარა ნიკომ. გათენდა თუ არა, საჩქაროთ წამოსტა, მიირბინა დედასთან და გულში ჩაეკრა.

— ჩემო დედა, შენი ჭირიმე,—ეხვეწებოდა ნიკო, თუმცა კი ჯერ არა ეთქვა-რა.

— რა გინდა, თქვი, თქვი, აღარ იტუვი? —უთხრა დედამ და თვალებში შეაჩერდა შვილს.

—ჩემო დედა, ორი შაური მომეცი, თვარა ვერ წავალ სკოლაში; შენი ჭირიმე, თუ გიყვარვარ, ჩემო დედიკო.

დედამ რამდენჯერმე ჰკითხა—რათ გინდაო, მაგრამ, რაკი ნიკო შეჰპირდა ხვალ გეტუვიო, კეთილმა დედამ მალე აუსრულა სურვილი;—მისცა ორი შაური და თანაც დაატანა: ცუდ უბრალოთ არაფერზე დახარჯოვო.

ნიკოს არც ჩაის დალევა მოჰგონებია და არც სხვა რამ; საჩქაროთ გაექანა სკოლისაკენ.

III

რამდენათაც უახლოვდებოდა სკოლის შენობას ნიკო, იმდენათ უფრო წუხდა. გუშინდელი თავისი მოქმედებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსვენებას არ აძლევდა. თითქო ვიღაცა ჩასძახოდა ყურში, არცხვენდა. აგერ შევიდა კიდეც სასწავლებლის ოთახში; იქ მხოლოდ ორიოდე ბავშია სხვა არავინ, მაგრამ სკოლის კედლები, ჰირ მოქუშულნი შეჩერებიან ამ ბავშს, თითქო ეუბნებიან: „შენ ქურდი ხარ, ჩვენ თვალ წინ ჩაიდინე ასეთი საქმე; უარს ვერ იტყვი, რომ ამხანაგს ჰური მოჭვარე და სხვას მიეცი!

ადრე იყო, სკოლის მოსამსახურეს ჯერ კიდევ არ გაეთავებინა სასწავლებლის დაწმენდა. თითქმის ერთ საათს შემდეგ დაიწყებოდა სწავლა და ამიტომ ბავშებმა ჩვეულებრივათ დაიწყეს ცელქობა და მოხუცი მოსამსახურის გაჯავრება, მაგრამ როცა ერთმა მათგანმა იატაკის საწმენდი „ჩოთქის“ ტარი იგემა ფეხებზე, მაშინ კი დაწყნარდენ; ორი მათგანი კი გაიქცენ ახლათ შემოსულ თომასკენ, რომ შვენიერი ვარდის კონა გამოერთმიათ.

—არა, ამას ვერ მოგცემთ,—თავაზიანათ უთხრა თომამ,—ჩემს ამხანაგს შევპირდი და ხვალ, დედა არ მომიკვდება, რაც კარგი ვარდები იქნება ავარჩევ და მოგიტანთ.—აგერ ისიც! რავა კუთხეში მიმჯდარხარ?—წამოიძახა თომამ და მიურბეინა ვარდის კონა ნიკოს, რომელსაც სირცხვილის ოფლი ცვარ-ცვარათ გადმოსდიოდა სახეზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

—აი, ნიკო, ვარდები. მარწყვი ამის მეტი არ იყო მწიფე და როცა იქნება ხელს არ ვახლებ. მე დედასაც ვუთხარი, რომ შენ მოხვალ ჩვენსა და შენის ხელით დაჭკრიფე,—ჩაულაპარაკა თომამ და ქაღალდში გახვეული მარწყვი მიაწოდა.

—მე ეს მოგიტანე,—უთხრა ნიკომ, ამოიღო ჩანთიდან ორი თითო შაურიანი თორნის ჰური და მისცა თომას, მაგრამ ხელები სულ უკანკალებდა.

—რა ამბავია ამდენი ჰური!—გაიკვირვა თომამ და მოცინარე სახით შეაჩერდა თავის ახლათ გაცნობილ ამხანაგს, რომელსაც თვალები საცოდავათ ჩაღრმავებოდა და სახე გაჭეკვითლებოდა.

—გუშინ, ჩემო თომა, გუშინ... მე მოგპარე ჰური... —ხმის კანკალით უთხრა ნიკომ და შეწუხებული დააშტერდა იატაკს, რცხვენოდა, რომ ჰირ-და-ჰირ შეეხედა თომასათვის.

თომამ გულიანათ გადიცინა და გადაეხვია ნიკოს.

—მერე ერთი ნატეხი ჰურის მაგიერათ ამდენი მომიტანე? მცოდნოდა რომ გშიოდა, დედა არ მომიკვდება, მე თითონ მოგცემდი. მეც არ გამიკვირდა სად გაჭერა ჩემი ჰური მეთქი!—დაუმატა თომამ და კიდევ გადიხარხარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა, არ მშიოდა, მაგრამ ისე... ვიცულლუტე... მეგონა შენ ძებნას დაუწყებდი და ჩვენ, ამხანაგები ვიცინებდით, მაგრამ შენ არცკი მოგგონებია. რა ვიცოდი თუ ასე იქნებოდა! რომ იცოდე, ჩემო თომა, რანაირათ ვწუხვარ... და აქ ნიკომ ეველაფერი უამბო ამხანაგს.

კეთილმა თომამ ძმურათ გადაკოცნა ნიკო და მას შემდეგ სამაგალითო მეგობრები იყვენ ერთმანეთისა.

განდეგილი.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

დ რ ო შ ა

(ფრანგულიდან)

ორი თავ-გამოდებით იბრძოდა შუალამემდის; დიდ გაჭირებაში აყენებდა მათ ერთი მხრით საშინელი, უზარ-მაზარი თოვლით შემოსილი მთები და მეორე მხრით მანტეფელი თავის ჯარით. თუმცა ესენი მარჯვეთ იბრძოდენ ვილერსექსელში, მაგრამ ბოლოს დასუსტდენ და ცდილობდენ მტერს ხელიდან გასხლტომოდენ, ცდა კი ამაო იყო. მტერი ყოველ მხრივ გარს შემორტყმოდა.

ერთი იმათგანი შიმშილით დასუსტებული, დალალულ-დაქანცული, გასისხლიანებული შუბლით, სიცივეში ძლივს მიღოღავდა დახლართულ ბილიკზე. იგი ცდილობდა როგორმე გზა გაეგნო, მაგრამ საშინელი ბნელი ღამე იყო. იმის სიცივისაგან გაბრუებულ თავსა და ყურებში ქარის ზუზუნი ზარბაზნის ყუმბარის გუგუნათ ისმოდა.

— გათავდა!.. მე ველარ ვიელი!..—ბუტბუტებდა ის დასუსტებული და მისი თვალები ეძებდენ სადმე მოყუდროებულ ადგილს, რომ თავი შეეფარებინა. უზარ-მაზარი მთები თითქო მკლავებ გაშლილი იწვეედენ და ეუბნებოდენ: „მოდი... მოდი აქ დაიძინეო“— ჯარის კაცმა გადადგა რამდენიმე ნაბიჯი; შემდეგ გულზე ხელი მიიდვა, მოიკრიბა მთელი თავისი ძალ-ღონე და სასოწარკვეთილებით წამოიძახა:

— დაეიძინო. . იქ!., არა არ შემიძლია!..

ის ისევ შეუდგა გზას, ცდილობდა როგორმე გაეკელია. მთელი თავისი იმედი დაამყარა განთიადს. საუბედუროთ, როდესაც კი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთებს განთიადის შუქი მოეფინა, შიშის ზარი უფრო დაეცა. — ზღვრის მაგივრათ, საიდანაც უნდა გაპარულიყო, თვალ-წინ, რამდენიმე ნაბიჯზე, დაინახა მტრის ჯარი.

ჯარის კაცი გაშეშდა. პრუსიელების ბრჭყვიალა ქუდები დაშხამულ გველივით ეცა გულზე და ძალ ღონე დაუსუსტდა; მწუხარე და სამარცხვინო ფიქრები წარმოუდგა თვალ წინ. — „აი... სწორეთ ბედია!.. ვერავინ ვერ გაექცევა ბედის წერას!“ — ამოიკვნესა იმან. ამ დროს შემოესმა ფეხის ხმა.

— დამინახეს უთუოთ!..

თოფის ხმამ ჯარის კაცი უფრო გამოაფხიზლა და გაამხნევა. დაჭრილი არჩევით ეცა უზარ-მაზარ მთებს და ფოთხვა დაიწყო: დალალულობაც, დაჭრილობაც დაავიწყა იმ სურვილმა, რომ როგორმე მტერს ხელიდან გასხლტომოდა.

— იმის გულისათვის!.. ის უნდა დავიხსნა!.. — ფიქრობდა იგი, მაგრამ რაღაც საშინელმა შიშმა და მწუხარებამ თითქო სული შეუგუბა. კიდევ გულზე მიიდვა ხელი. ამ დროს მოესმა ცხენის ფეხის ხმა.

— „რაექნა, სად გადავარდე? სად დავიმალო? — იმეორებდა ჯარის კაცი, თოვლისა და მთების მეტი არა იყო-რა. მიიხედ-მოიხედა და დაინახა, რომ პატარა სწორე ადგილზე, განცალკევებით სახლი იდგა. ეს კი სწორეთ სასწაული ეგონა. სულ განაბული მიფორთხდა იმ სახლის კარებთან და კარი დააკაკუნა.

— გამიღეთ, თუ გიყვართ სამშობლო — ჩვენი საფრანგეთი.

რამდენიმე წუთი მთელ საუკუნეთ ეჩვენა! შემდეგ მოისმა ფეხის ხმა და ერთი კაცი გამოჩნდა კარებში. ამათ ერთმანეთს შეხედეს.

— შემოდი... საცოდავო ყმაწვილო!..

ჯარის კაცი საჩქაროთ შეეიდა ოთახში და დაეცა სკამზე, საცოდავს ხელი გაშეშებოდა და მუხლები მოწყვეტილი ჰქონდა. ოთახში ერთი ახალგაზდა დედაკაცი იყო, რომელიც ახალ-დაბადებულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბავშს ახვევდა და თან სიბრალულით ახალ მოსულს ყმაწვილს კაცს შეცქეროდა. მამაკაცმაც შეწუხებულმა გაალო ფანჯარა. დიდრონი თოვლის ფერფლები შემოჰყარა ბუქმა ოთახში. უცებ რაღამაც მიიპყრო მამაკაცის ყურადღება... მუშტი მოკუმშა და წამოიძახა:



— აი მოდიან!..

ჯარის კაცი საჩქაროთ წამოვარდა ფეხზე:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აი, დროშა!.. დაიცვეით, დამალეთ დროშა!..

უბიდან ამოიღო დროშა, რომელიც მტრისთვის წაერთმია და ახლა ეშინოდა, რომ ისევ იმათ არ ჩავარდნოდათ ხელში.

ამისათვის იყო, რომ ეს საშინელი ღამე ისე იბრძოდა, ამისათვის იყო, რომ მოიკრიბა მთელი ძალ-ღონე და მშიშარასავებ გამოიქცა ბრძოლის ველიდან, ამისათვის იყო, რომ შესწირა თავის დანარჩენი სიცოხლე.

მამაკაცი დაშტერებით შინჯავდა თავის ერთათ-ერთ ოთახის კუთხეებს, რომ სადმე მოეხერხებინა დროშის დამალვა. ჯარის კაცი მისუსტებული ეპოტინებოდა მაგიდას, რომელზედაც დაბჯენილი იყო. ამ დროს დედაკაცმა ამოიყვანა აკვნიდან თავის ბავში, საჩქაროთ გახვია აბრეშუმის სამ-ფერ დროშაში და ისევ აკვანში ჩააწვინა:— აქ არავინ არ დაუწყებს ძებნას!—წაიბუტბუტა მან დამშვიდებულმა.

ასე დაიცვეს მტრის ხელიდან დროშა.

ე. მესხიეა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ოქროს მდინარის მეფე

ანუ შავი ძმანი

(შტირიული ზღაპარი ჯონ რესკინისა)

„შავი ძმების“ სახლ-კარის განადგურება.

I

ტირიის მთიან ნაწილში ნაყოფიერი და საუცხოო ხევი მდებარეობდა. ირგვლივ ეს ხევი შემოზღუდული იყო მთებით, რომლის ზოგიერთი მწვერვალები მუდამ დათოვლილი იყო, საიდანაც, კლდეებზე მრავალი წყლები გადმოჩანჩქარებდენ. ერთი ამ წყალთაგანი, რომელიც დასავლეთისკენ მიმდინარეობდა, ძალით ეხეთქებოდა უშველებელ ფრიალოს და იბნეოდა მრავალ წინწკლებათ, რომელნიც, ჩამავალი მზის სხივებით გაბრწყინვებულნი, წვრილ ალმასებივით ცვიოდენ თვალ ჩაუწვდენელ უფსკრულში. ახლო-მახლო მცხოვრებთ ამ წყალს „ოქროს მდინარე“ დაარქვეს. საკვირველი კია, რომ არც ერთი ამ მდინარეთაგანი ხევში არ ჩადიოდა, ყველა აქეთ-იქით წასულ-წამოსულიყო და ქალაქსოფლებით მოფენილ ფართო მინდორ-ვაკეებს რწყავდა. მთები კი მუდამ ღრუბლებით იყო დაბურული და, თითქო ცაზე თავმიბჯენილი ხევს თავს დაჰყურებდა. სიცხეების და გვალვის დროს, როცა ირგვლივ მზის მწვავე სხივები ყველაფერს სწვავდენ, პატარა, ნაყოფიერ ხევს ხშირი ჟუჟუნა წვიმა ასულიერებდა, აცოცხლებდა; იქ ყოველთვის კაი მოსავალი იყო; ბალახიც შვენიერი იზრდებოდა; კაი გემოს ვაშლები, ყურძენი, კაი ღირსების თაფლი, ერთი სიტყვით ყველაფერი იქ უხვათ იყო... ხალხი გაკვირვებული იყო ხევის ამისთანა სიმდიდრით და „სასწაულთა ხევს“ ეძახდა. მთელი ეს პატარა ხევი სამ ძმას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკუთნოდა. ერთს ერქვა შვარცი, მეორეს განსი და მესამეს—ანცროსს—გლიუკი. უფროსი ძმები—შვარცი და განსი უშნოები იყვენ. კუპრიერით შავი წარბები პატარა, მკაცრ და თითქმის ყოველთვის მოჭუტულს თვალებზე ჩამოჰფარებოდათ, ისე რომ თვალებს ვერც კი დაუნახავდით, თუმცა იმავე დროს გეჩვენებოდათ, რომ ისინი დაჟინებით გაცქერდებოდენ. ძმები მეურნეობას მისდევდენ „სასწაულთ ხევში" და კარგათაც მიჰყავდათ თავიანთი საქმე. მუშებს მეტის-მეტი საქმით წელს აწყვეტინებდენ და მერე არაქათ გამოლეულს გააგდებდენ და ერთს ფარასაც არ მისცემდენ. რასაკვირველია ამ ნაირათ მალე გამდიდრდენ. პურს ინახავდენ სანამ ძრიელ გაძვირდებოდა და მერე კი ერთი-ორათ ჰყიდდენ. ოქრო-ვერცხლი ბევრი ჰქონდათ, მაგრამ თავის დღეში ღარიბს და ქვრივ-ობერს არას აძლევდენ. საზოგადოთ შვარცი და განსი მეტათ ბოროტი ხასიათისა იყვენ. ყველა მათ „შავ ძმებს" უძახდა. უმცროსი ძმა გლიუკი არც სახით, არც ხასიათით უფროსებს არ ჩამოჰგავდა; ლამაზი, თვალ ქუქუნა ბავში იყო. პატარაობიდანვე კაცს კი არა, პირუტყვსაც კი სიყვარულით და თანაგრძნობით ეექცეოდა. რასაკვირველია, ძმებთან ამისთანა ხასიათის კაცი კაი გაწყობილებით ვერ იცხოვრებდა. თუ რაიმე გასაკეთებელ—შესაწვავი ექნებოდათ, უთუოთ უნცროს ძმას უნდა გაეკეთებინა—სადილისთვის რამე შეეწვა, თუმცა ეს იშვიათი იყო, რადგანაც ძმებს მარტო სხვისთვის კი არა, თავის-თავისათვისაც კი ყველაფერი ენანებოდათ. ამას გარდა გლიუკს უფროსი ძმებისთვის ფეხსაცმელი უნდა ეწმინდა, იატაკი დაეგავა, ჭურჭელი დაერეცხა, და ამდენ შრომაში კი ძმები მარტო თავიანთ მონარჩენს თუ მისცემდენ. არც მუჯლუგუნებს აკლებდენ ვითომ და მოსაჭკვიანებლათ. ასე, ამგვარათ, ძმები კარგა ხანს ცხოვრებდენ. მაგრამ აი ერთხელ საშინელი წვიმიანი წელიწადი დადგა და ახლო-მახლო მცხოვრებლებს უბედურობა უბედურებაზე თავს დაატყდათ. ძლივს მოასწრეს თივის შეგროვება, რომ ნიაღვარმა ყველა ბუღლულები წალეკა, ყანა დაალპო, ვენახები დაისეტყვა; მხოლოთ „სასწაულთ ხევში" უწინდებურათ გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკვირველათ ხარობდა და ყვაოდა ყველაფერი. ჭირნახულიც ჩინებული ბული მოვიდა. მეზობლები „შავ ძმებს“ პურის სასყიდლათ მიადგენ, მაგრამ წყეულა-კრულვით უკანა ბრუნდებოდენ: ძმები პურს ძვირათ აფასებდენ. რა უნდა ექნათ გაჭირვებულებს, უკანასკნელ ფარას აძლევდენ. ბევრს ფულიც არა ჰქონდა; თხოვდენ პურს ღვთის გულისათვის, მაგრამ „შავი ძმები“ ბედისაგან დაჩაგრულების ცრემლებს არავითარ ყურადღებას არ აქცევდენ...

ზამთარი დგებოდა; კარზე სიცივე მოადგაო.

ერთხელ უფროსი ძმები სახლიდან გავიდენ, უნცროსი ცხვრის წვადების შესაწვავათ შინ დატოვეს და უბრძანეს, რომ სახლში არავინ შეეშვა და არავისთვის არა მიეცარა. საშინლათ წვიმდა და საშზარეულოს კედლებს წყალმა შეატანა. გლიუკი მიუჯდა ცეცხლისპირს და წვადებს ატრიალებდა; წვადიც შევნიერათ იბრაწებოდა. „რა ვწუხვარ, რომ ჩემი ძმები თავის დღეში არავის არ მოიწვევენ“ —გაიფიქრა გლიუკმა: „უფრო გულ კეთილები არ იქნებოდენ, რომ ეს გემრიელი ცხვრის წვადები იმათთვისაც ეჭმიათ, ვისაც ახლა ხმელი პურის ნატეხიც კი ენატრება?“ ამას ჰფიქრობდა გლიუკი, რომ კარებზე ვილამაც მოარახუნა.—ქარი თუა—გაიფიქრა გლიუკმა,—თორემ ვინ გაბედავდა ასე ძრიელ რაკუნს?“

მაგრამ რაკუნი ქარისა არ იყო. ხელ მეორეთ მოისმა კარებზე ძრიელი რახუნი, და ყველაზე საკვირველიც ის იყო, რომ ეტყობოდა ვილაცა მოუთმენელი და გულადი კაცი უნდა ყოფილიყო. გლიუკმა ფანჯარა გააღო და გაიხედა; უნდოდა გაეგო კარს ვინ არაკუნებდა. კარებთან საოცარი შეხედულების პატარა მოხუცი იდგა. ნესტოები საშინელი განიერი და თითქმის სპილენძის ფერი ჰქონდა; მრგვალი და წითელი ლოყები. მისი თვალები გძელი აბრეშუმის მსგავსი წამწამებიდან მხიარულათ გამოიყურებოდენ. ძალზე დაგრეხილი ულვაშები მოუჩანდა; ნაცრის ფერი თმა მარებამდის ჩამოშლოდა. სიმაღლით ადლ ნახევარი იქნებოდა; თავზე წოწოლა, ქუდი ეხურა; შიგ ერთი ადლის სიგძე ფრთა ჩაერჭო. უშ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველებელი, გრძელი წამოსასხამი, ქარისაგან გაბერილ-გაფრიალებული ზურგზე ჰქონდა გადაგდებული და ოთხი კაცის სიგძე მოჩანდა. გლიუკი ისე იყო გაკვირვებული ამ კაცის საოცარი შეხედულობით, რომ აღარ იცოდა რა ექნა, მთლათ დაიბნა და ადგილიდან ველარ დაძრულიყო. საოცარმა სტუმარმა ერთი კიდევ მიარახუნა კარები, შემდეგ დაინახა ფანჯარიდან გადმოყოფილი გლიუკის თავი, მისი გაკვირვებისაკან დაცეცებული თვალები და გაღებული პირი.

—ეჰეი!—დაიძახა ბებერმა:—რატო კარს არ გააღებ? სულ დავსველდი, შემიშვი ჩქარა სახლში, რაღას ელი!

—უკაცრავათ, ბატონო,—უთხრა გლიუკმა,—ძალიან მებრალებით, მაგრამ არ შემიძლია თქვენი...

—რა არ შეგიძლია?—იკითხა უცნობმა.

—არ შემიძლია თქვენი სახლში შემოშვება. ღმერთმანი არ შემიძლია. ძმები ცემით მომკლამენ, რომ შემოგიშვათ. მაინც რა გნებავთ, ბატონო?

—რა მნებავს?—განიმეორა მოხუცმა—ცეცხლთან გათბობა, წვიმას მინდა შეეფარო. ემანდა რა კი ცეცხლი გაგიჩაღეპია ბუხარში, რა რიგათ ტკაცუნობს შეშა, რა სასიამოვნოთაა კედლები გაჩაღებული, და კი არავინ სარგებლობს მაგ სითბოთი! შემიშვი; გავთბები მაინც.

გლიუკი აგერ რამოდენა ხანია ფანჯარასთან იდგა და კარგათა გრძნობდა რა სიცივეც იყო გარეთ. მართლაც მობრუნდა და დაინახა ბუხარში შეენიერათ გაჩაღებული ცეცხლი, რომელიც ტყუილათ იწოდა და დალორთხებულს და გაყინულს მგზავრს კი არავის ათბობდა, არ აშრობდა. ბებერი მართლაც ძრიელ დასველებულიყო.

,,შემოუშვებ ცოტა ხნობით, დაე გათბეს'' გაიფიქრა გლიუკმა. მივიდა და კარები გააღო. პატარა კაცი შემოვიდა. შემოვიდა თუ არა საშინელის ძალით, იმავ წამს ქარმა დაუბერა და კედლებს ზანზარი დააწყებინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

—შენ კაი გულისა ყოფილხარ—უთხრა მოხუცმა—ძმებისა ნუ გეშინია. მე ვიცი და იმათ.

—თუ ღმერთი გწამთ, მაგას ნუ იზამთ. იმათ მოსვლამდის აქ ვერ დაგტოვებთ,—ძაან გამლახვენ.

—მითხარი, ღვთის გულისათვის,—შენიშნა მოხუცმა—ძალიან კი მწყინს მაგის გაგონება, მაინც რამდენ ხანს შემიძლია აქ დარჩენა?

—სანამ წვადი შეიწოდეს—უპასუხა გლიუკმა;—აგერ კიდეც დაიწყო შიშხინი.

მოხუცი შეეიდა სამზარეულოში, მიუჯდა ბუხარს, ქუდი გვერდზე მოიგდო, რადგანაც ჭერი დაბალი იყო და არ იმართებოდა.

—მალე გაშრებით,—უთხრა გლიუკმა და მწვადებს ტრიალი დაუწყო. მაგრამ ჯერ სად იყო მოხუცის გაშრობა; წყალი წურწურით ჩამოდიოდა და ცეცხლზე ეცემოდა, შეშას ტკაცა ტკუცი გაჰქონდა, შიშინებდა და ალით კი ალარ ენთო, ხრჩოდა. გლიუკს ამ გვარი მოსასხამი თავის გაჩენაში არ ენახა: ყოველ ნაოჭზე რუსაევით ჩამოდიოდა წყალი.

—ბატონო, უთხრა გლიუკმა, დაინახა თუ არა, რომ წყალი იატაკზე მდინარესავით მოდიოდა,—ნება მიბოძეთ მოსასხამი ჩამოგართვათ.

—არა, არ მინდა, მადლობელი ვარ.

—ქუდი?

—არა მიჭირსრა, ასედაც კარგათა ვარ—მკაცრათ უპასუხა მოხუცმა.

—ეწუხვარ—განაგრძო გლიუკმა და თანაც ენა ებმოდა,—მაგრამ კი უნდა გითხრათ, რომ ცეცხლს მიქრობთ.

—უფრო გვიან შეიწვის შენი წვადი.

გლიუკი გაოცებული იყო მისი ქცევით: სტუმარი ხან წყნარათ იქცეოდა, ხან კი სასტიკი, მკაცრი იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გლიუკმა ისევ თავის წვადს მიხედა.

—მგონი ეგ ცხვრის წვადი გემრიელი უნდა იყოს,—პატარა ნაჭერს ვერ მომცემ?

—ეგ კი არ შემიძლია,—უპასუხა გლიუკმა.

—ძალზე მშიერი ვარ. აგერ ორი დღეა პირში არა ჩამიშვია რა; ერთი პატარა ნაჭერი რომ მომიჭრა, შენი ძმები ყერაკი შეიტ-ყობენ.

ამ სიტყვებს მოხუცი ისეთი საბრალო, ბეჩავი ხმით ამბობდა, რომ გლიუკს შეეცოდა.

—ძმები ერთ პატარა ნაჭერს მე დამპირდენ. შემიძლია ის ნა-ჭერი თქვენ დაგითმოთ, მაგრამ მეტს კი ვერ მოგცემთ.

—ოჰ, ჩემო კარგო, შენ გულ-კეთილი ყოფილხარ,—ეს მეორეთ უთხრა მოხუცმა.

გლიუკმა გალესა დანა და დაუწყო წვადს ჭრა და თანაც ჰფი-ქრობდა,—რა უყოთ, თუნდა რო მცემონ კიდეც.

ის იყო მოჭრა ერთი პატარა ნაჭერი, რომ ამ დროს კარები ძალზე მოარახუნეს. მოხუცი ბუხრიდან წამოხტა და განზე გადგა, თითქოს სიცხეს შეეწუხებინოს. შეშინებულმა გლიუკმა ნაჭერი ისევ ზედ მიადო წვადს და კარებისკენ გაექანა.

—რამდენს გვაცდეინებ კარში ამ წვიმაში! შეჰყვირა შემოსვ-ლის უმალვე შვარცმა, და თანაც ქოლგა სახეში მიახალა.

—ჰაი შე არამზადა!—დაუმატა განსმა და ყურმალში სილა გა-არტყა.

—ეს რას ნიშნავს? შეჰყვირა ხელმეორეთ შვარცმა, მოჰკრა თუ არა თვალი უცნობს.

—ამინ!—წარმოთქვა მოხუცმა, მოიხადა ქუდი და ახლათ მო-სულ ძმებს თავი დაუკრა.

—ეს ვინ არის?—იკითხა შვარცმა, თანაც გამძვინარებულმა ჯოხს ხელი წამოავლო და მიუბრუნდა გლიუკს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

—მე... ძმებო... სწორეთ, არ ვიცი—უპასუხა აკანკალებულმა გლიუკმა.

—აქ საიდან შემოვიდა! დაიგრიალა შვარცმა.

—ძმაო, უთხრა გლიუკმა მოწიწებით:—წვიმას ძალზე დაესველებინა.

შვარცმა ჯოხი მოუქნია, მაგრამ, დახე მის გაკვირვებას, გლიუკის თავის მაგივრათ მოხუცის ქუდს მოხვდა და ოთახის მეორე კუთხეში გადაეარდა. ქუდიდან მდინარესავით მოსკდა წყალი მთელ ოთახში.

—თქვენ ვილა ხართ? მიუბრუნდა შვარცი მოხუცს.

—რა კაცი ხარ?—დაატანა განსმა.

—მე—საწყალი დაბერებული კაცი ვარ—წყნარათ მიუგო უცნობმა:—ფანჯრიდან თქვენ ბუხარში ცეცხლს თვალი მოეჭარ და გასათბობათ შემოსვლის ნება ვითხოვე.

—გთხოვეთ ახლავე გარეთ გახვიდეთ,—შესძახა შვარცმა,—საშზარეულოში წყალი ისედაც ბევრი გვაქვს, და თქვენისთანაებისთვის კი საშრობი ადგილი არ არის.

—მერე გარეთ ხომ საშინელი სიცივეა ჩემისთანა მოხუცებულისთვის, შემოხვდეთ ჩემ ჭალარას...

—ჯერ საკმაოთ გქონიათ თმა, თქვენ თავს ეგეც დაჰფარავს. გამეცალეთ!

—ძალზე მშიერი ვარ, ბატონო, საგზლათ პატარა პური მაინც მომეცით.

—პურიო?! ერთი უყურეთ! შეჰკივლა შვარცმა,—ნუ თუ გგონიათ, პური იმისთვის მოგვყავს, რომ თქვენისთანა ცხვირ წითელას ეაძლიოთ?

—რატომ თქვენ ქუდის ფრთას არ გაჰყიდით? დაცინვით უთხრა განსმა და შემდეგ დაუმატა:—დაიკარგეთ აქედან!

—გთხოვეთ მხოლოთ პატარა პურის ნატეხს!—განიმეორა მოხუცმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გამეცა! — დაუყვირა შვარცმა.

— გეხვეწებით, გემუდარებით, — ბატონო...

— დაიკარგე მეთქი, — დაიღრიალა განსმა და კისერში ხელი წაავლო. მაგრამ შეეხო თუ არა მოხუცს, დატრიალდა ჯარასავით და მიაწყდა იმ კუთხეს, სადაც ჯოხი ეგდო.

შვარციც ეცა პატარა ტანის უცნობს, უნდოდა გარეთ გაეგდო, მაგრამ იმანაც ძმისა და ჯოხის გზა მონახა, მიეჯახა კედელს და იმათთან ერთათ დაეცა.

იმავე დროს დატრიალდა მოხუცი, შემოიხვია გარს თავისი გძელი წამოსასხამი, წამოიხურა თავზე თავისი ქუდი, გადიგრიხა ისეც დაგრეხილი ულვაშები და წყნარათ, დინჯათ წარმოთქვა:

— ბატონებო, ღამე კარგა ყოფნისა. შუა ღამისას კიდევ მოვალ თქვენთან; ნუ გაგიკვირდებათ, რომ ამისთანა მასპინძლობას შემდეგ კიდევ მოვიდე, ღამის წვეულობა უკანასკნელი იქნება.

— თუ კიდევ გნახე როდისმე აქ! — ჩაიბურტყუნა შვარცმა და კუთხეს მოშორდა; მაგრამ ვერ დაათავა თავისი მუქარა, რომ მოხუცმა საშინელის ხმაურობით გაიხურა კიდეც კარი. გავიდა თუ არა მოხუცი ოთახიდან, გაისმა მთელ ამ ხევში არა ჩვეულებრივი ქარიშხლის გუგუნი და კვნესა, ხან შეჩერდებოდა და ხან საშინელის ძალით დაჰბერავდა; თან ისეთი წვიმაც მოჰყვა, რომ გეგონებოდათ ცა ზღვათ იქცა და ჩამოიღვარაო.

— კარგი, გახსოვდეს გლიუკო! — უთხრა შვარცმა — მოიტა წვადი! მაგრამ იცოდე, რომ თუ კიდევ მოგასწარ ამ გვარ საქციელში...

— წვადიც შეთლილი ყოფილა?!

— აკი დამპირდით პატარა ნაჭერს, უპასუხა გლიუკმა.

— დაეჩქარე განა ცხელ-ცხელი წვადის შეთლას, წვენს დახარბდი? ვერ მოგართვი საკვლაოთ მაგისთანა დაპირება. ჩაეთრიე სარდაფში და იქ ეგდე სანამ დაგიძახებდეთ.

დალონებულმა გლიუკმა სარდაფისკენ გასწია, ძმები კი წვადს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიუსხდენ, გამოთვრენ კიდეც და დანარჩენი განჯინაში შეინახეს.

საშინელი ღამე იყო. ქარი ზუზუნებდა და წვიმა შეუწყვეტლათ, თითქოს კოკის პირულათ მოდიოდა. თუმცა ძმები მთვრალები იყვენ, მაგრამ დაძინების წინათ კარების და ფანჯრების დახურვა არ დაავიწყდათ. ორივე ძმას ერთს ოთახში ეძინათ. შუალამისას უცნაურმა ხმაურობამ ორივე ფეხზე წამოახტუნა. მათი ოთახის კარი იმისთანა ხმაურობით და ძალით გაიღო, რომ მთელმა სახლმა ზანზარი დაიწყო.

—რა ამბავია? წამოიძახა გაოცებულმა შვარცმა; წამოხტა თუ არა ლოგინიდან.

—მე გახლავარ! დაიძახა მოხუცმა.

ორივე ძმები ჩამომსხდარიყვენ საწოლზე და გაკვირვებით იყურებოდენ იქით, საიდანაც ხმა მოდიოდა. მთელი მათი ოთახი წყალს აეტივტივებინა და ციაგ მთვარის ნათელზე, რომელიც ფანჯარაში შემოდიოდა, ცხადათ გაარჩიეს შუა ოთახში, წყალზე მცურავი ქაფის ბუშტი; ბუშტზე, როგორც ბალიშზე, წყნარათ იჯდა მოხუცი თავის ქუდით და მოსასხამით გამოწყობილი. იმათ ოთახს აღარც ჭერი, აღარც სახურავი აღარა ჰქონდა, და მოხუცის ქუდი წელანდელივით გვერდზე მოგდებული კი არა, სწორედ იყო ამართული.

—ვწუხვარ, რომ ძალა-უნებურათ უნდა შეგაწუხოთ,—დაცინვით თქვა მოხუცმა.

—მგონი თქვენი ქვეშაგები დასველდა და უფრო კარგი იქნებოდა, რომ თქვენი ძმის ოთახში გადასულიყავით: იმის ოთახს ჭერი დაეუტოვე. აღარ მოუნდა მოხუცს ამ რჩევის გამეორება, შიშისაგან აკანკალებული ძმები მაშინათვე გლიუკის ოთახისკენ გაექანენ.

—იქ სამზარეულოში, მაგიდაზე ქალალდზე დაწერილ ჩემ სახელსა და გვარს ნახავთ—მიაძახა მოხუცმა,—მაგრამ გახსოვდეთ რომ ეს ჩემი მოსვლა უკანასკნელია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მადლობა ღმერთს, რომ უკანასკნელია! წამოიძახეს ძმებმა, და ბუშტი გაჰქრა.

გათენებისას ძმებმა გლიუკის ოთახიდან ფანჯარაში გამოიხედეს. მთელი „სიმღიდრის ხევი“ გულ საკლავ სურათს წარმოადგენდა; ყველაფერი განადგურებული და გაოხრებული იყო. ქარიშხალს ხეები ფესვიანათ ამოეძრო, წყალს კი ჭირნახული და საქონელი ყველაფერი წაელო და ხევში ქვიშა და ტალახი ჩამოელეკა. თავ ზარ დაცემული ძმები კანკალმა აიტანა. წყალს სახლისთვის საძირკველი გამოერეცხა, შენახული ჭირნახული წაელო. გამობრუნდენ ფანჯრიდან და სამზარეულოს მაგიდაზე ძმებმა, მართლაც დიდი ქაღალდის ნაგლეჯი იპოვეს, რომელზედაც დაჯღაბნილი იყო:

„ბატონი ქარი სამხრეთ-დასავლეთისა“.

კოტე.

(შემდეგი იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დედა და შვილი.

შვილი

ედავ, მითხარი გენაცვა,
მე როგორ გამახინეო?

დედა

„გაიგებ რომ გაიზდები
დაწექი დაიძინეო.“

შვილი

შენი ჯირიმე დედილო
მინდა ვიცოდე მართალი.
თავს წამოადგა დედასა
ვით თავ-მოძწონი სარდალი.

დედა

გიამბობ თავს შემოგევლე
მიკვირს რომ არა გცოდნია.
შენ ჩვენს ბაღჩაში მოგთხარე
აგერ, იქით რომ ღობია.
იქ საკიტრესა ვჩიჩქნიდი,
ვაფსვიერებდი მიწასა,
ჰირველათ ვერა ვნახე-რა,
ესლაცა ვკვირობ იმასა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯერ ხომ ბორხვენა ამოჩნდა,
მერე ლუსუმა, ღოლოცა.
მესმის კრუსუნი თხრილშია
თმა დავინახე ბოლოსა.
ეს იყო, შენ გენაცვალე,
შენი ქოჩორი ოქროსი!..
გეწიე თმაზე, გეწიე,
ამოგაჩინე მთლიანათ;
მლიეს ჭსუნთქავდი, ჭკრუნავდი
გულისა დამაზიანათ.
შეგხვიე კაბის კალთაში,
გამოვექანე შინაო.
მამამ რო გნახა, იამა
მალიან მოილხინაო.
გაგბანე, ცეცხლზე გაგათბე,
აკვანიც მქონდა თანაო;
მეის ჩაგაწვინე აკვანში,
გიმღერე ნანი-ნანაო.

შ ვ ი ლ ი

მაშ ჩვენებიანთ ვასო-ღა
საით, ვინ გაჩინაო?

დ ე დ ა

წისქვილს ეპოვნა დედასა
ალატში, ოქვილის კრეფაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფქვილს თურმე წმენდდა და ამდროს
ხელი მოევლო კეფაში.

შ ვ ი ლ ი

ოჰ! მაშ ვანო-ღა, დედილო,
ის სადღა არის ნაპოვნი?

დ ე დ ა

ვანო სნულშია, პაპა შენს
ეხნა მინდორი, ველები;
გადაბრუნებულს კვალშია
ამოსჩენოდა ხელები.
შენი ძალუა თინაცა
მეხრეთ ჰყოლოდა პაპასა,
რა დაენახა უმაწვილი
ხელი ეტაცა იმ წამსა.

შ ვ ი ლ ი

თუ ნაპოვნები არიან
ორივ რათ მიუვარს დიდათა?—
კვლავ ჰკითხა ბავშმა დედასა
ნაღვლიანათა, მშვიდათა.—
არა, ჩვენები არიან
მე თითონ ვიცი წმინდათა.
რისთვის მატყუებ, დედაო?!
თქვა გადაეჭდო ყელზედა,
შეჰფოფინებდა თვალებში
ხელებს უსვამდა თმებზედა.

ვაჟა-ფშაველა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მეფე და მეგანტე

(თარგმანი)

ავარიის მეფე მაქსიმილიანე მეტათ კეთილი კაცი იყო. ქვეშევრდომებს ძალიან უყვარდათ. მე გიამბობთ იმის ცხოვრებიდან ერთ საყურადღებო შემთხვევას. თითონ მაქსიმილიანე თურმე ხშირათ მოიგონებდა ხოლმე ამ ამბავს.

ზაფხულის ცხელი დღე იყო. მეფემ წიგნი აიღო და სასეირნოთ წავიდა. გაიარა რამდენიმე ვერსი. დასასვენებლათ ერთ დიდ მუხას ქვეშ დაჯდა. ორიოდე ფურცელი წაიკითხა, მაგრამ ჩათვლიმა; წიგნი გვერდზე გადადო და ძალე ტკბილათ ჩაეძინა. როცა გამოეღვიძა, მეფე შინისკენ წამოვიდა. წიგნი კი იქვე დაავიწყდა.

კარგა მანძილი რო გამოიარა, მაქსიმილიანეს წიგნი მოაგონდა. უკან გაბრუნება დაეზარა და გადაწვიტა ვინმე გაეგზავნა იმის მოსატანათ. მიიხედ-მოიხედა და დაინახა ერთი ბატარა ბიჭი, რომელიც ბატებს აძოვებდა. მეფემ ბიჭს დაუძახა, ანიშნა, რომელ ხეს ქვეშ დარჩა წიგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნი და თხოვა მომიტანეო, საჩუქრათ ერთ ფლორინს [1] დაჭვირდა. ემაწვილმა ეჯვით შეხედა უცნობს, რომელიც ასეთ დიდ ფასს ჭვირდებოდა, ეგონა დამცინისო და უთხრა:

— არც ისეთი სულელი ვარ, ბიძიავ, როგორცა ფიქრობთ!

— სულელიო?! მერე ვინ გეუბნება სულელი ხარო! — უთხრა გაკვირვებულმა მეფემ.

— მაშ რა არის? განა მე არ მესმის, რომ იქიდან წიგნის მორბეინებაში ფლორინს არავინ მისცემს? არა მგონია ისეთი ვინმე იყოს ქვეყანაზე, რომ იმ მუსამდის მისვლა-მოსვლაში მთელი ფლორინი გაიმეტოს და ვერც დავიჯერებ მაგ სიტყვას!

— იქნება დაიჯერო, ფული რომ გიჩვენო, — უთხრა მეფემ. — უეურე, აი ამ ფლორინს მოგცემ.

— მართალია ვხედავ მაგ ფულს, მაგრამ რა გამოვიდა? აი ახლა ხელში რო მქონდეს, — მაშინ სხვა საქმე იქნებოდა.

გულ-კეთილმა მეფემ მისცა ემაწვილს ბჭეკვიალა ფული. ეგონა ახლავე გაიქცევა წიგნისათვისო, მაგრამ ემაწვილმა ჩაფიქრებით შეხედა.

— რაღას უეურებ, ბავშო? — ჰკითხა მეფემ, — რატომ არ წახვალ?

---

[1]) ფლორინი უდრის 53 კაპეიკს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— წასვლით კი სიხარულით წავიდოდი,—უპასუხა ემაწვილმა,— მაგრამ ვის ანაბარა დავტოვო ბატები? ერთიც ვნახო აი ეორულში შეესივნენ, მაშინ ხომ ამ ფლორინზე მეტს ჯარიმას გადამახდევინებენ და იქნება მებატეობიდანაც გამომაპანღურონ.

მეფეს მოეწონა თამამი ემაწვილის პასუხი და უთხრა:

— წადი და, სანამ დაბრუნდები, ბატებს მე ვუგდებ ეურს.

ემაწვილმა გულიანათ გადიხარხარა.

— როგორ, თქვენა გგონიათ ადვილია მაგათი დაოკება?! არა, თქვენ მაგას ვერ შეიძლებთ. ჯერ ერთი, მიავ, რო თქვენ მოხუცებაში ხართ შესული და მეორეც, ისე ჩასუქებული ბძანდებით, რო ბატების დევნას ვერ შეძლებთ. აბა ერთი აიმ მაძალ-ბატს შეხედეთ,—აი შავი თავი და ფრთები რო აქვს. ოო, ეგ დიდი სამგლე ვინმეა! წინამძღოლი ბძანდება და...! ძალიან კი ცდილობს ხოლმე ჩემ მოტეუებას, მაგრამ ჩემთან რას გააწყობს! თქვენ-კი ისე გაგისსლტებათ, რო თვალიც ვერ მოჭკრათ.

— ბატებისა ნუ გეფიქრება,—უთხრა მეფემ ღიმილით. —თუ წაახდენენ რამეს—მე ვზღავ.

ახლა კი ცოტათ დამშვიდდა ბავში, შოლტი მეფეს გადასცა და წიგნისთვის წავიდა. მაგრამ ორიოდე ნაბიჯი რო გადადგა, ისევ მოტრიალდა.

— რალათ ბობრუნდი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აბა ე შოლტი გაატლაშუნეთ. — უთხრა უმაწ-ვილმა.

მეფემ ვერ მოახერხა შოლტის გატლაშუნება.

— რო ვთქვი! — წამოიძახა ჰატარა მწყესმა.

მერე გამოართვა შოლტი და უჩვენა, როგორ უნდა მისი გატლაშუნება. დაიქნია უმაწვილმა შოლტი და გა-ატლაშუნა. შეშინდენ ბატები და ერთათ შეგროვდენ.

მეფე გულმოდგინეთ ადევნებდა თვალს თავის ჰატარა მასწავლებელს. უმაწვილმა რამდენჯერმე თავი გაიქნია და, ბოლოს, წავიდა.

მეფე იჯდა და გულიანათ იცინოდა. ბატები სულ გადაავიწყდა. შავ-თავა ბატმა იგრძნო, რომ შოლტი სხვის ხელში იყო; რამდენჯერმე დაუყეფინა თავის ამხანაგებს და სწორეთ იმ ეორეულისაკენ გაექანა, რომელზედაც ჰა-ტარა მებატემ უჩვენა. დანარჩენებიც ეიეფინით დაედევნენ თავიანთ ბელადს. მეფე გამოეკიდა ბატებს, ეგონა და-ვაბრუნებო, მაგრამ ვერ დაეწია. მერე ბევრი იქნია შოლ-ტი, მაგრამ ვერც მისი გატლაშუნება შეიძლო. ბატები გაიფანტენ და თითონ მარტოკა დარჩა.

ჰატარა ხანს უკან დაინახა მომავალი უმაწვილი და შერცხვენილმა შეხედა მას.

— აკი გითხარით, თქვენ ბატებს ვერ მოუვლით-მეთქი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა უშავს-რა, ჩემო კარგო, მე გიშველი ბატების შეგროვებას.

— მაშ აი, თქვენ აქ დადექით, უთხრა ემაწვილმა,— და, თუ ბატები თქვენკენ წამოვიდენ, ხელები აუქნიეთ და „საი-საი“ დაუყვირეთ. მერე თითონ აიღო შოლტი და მაგრა გაატლაშუნა. ბატებმა გაიგეს ნაცნობი ხმა და შიშით გამოცვივდენ ეორუღიდან. შავ-თავა ბატს მწყემსმა რამდენჯერმე უთუთქა შოლტი.

როცა ბატები შეგროვდენ, ემაწვილი მიუბრუნდა მეფეს და მკაცრი საყვედური მისცა. მაქსიმილიანემ წუნარათ მოისმინა ეს საყვედური და ბოდიში მოიხადა.

— საქმე ისაა,—დაუმატა იმან,—რომ მე მეფე ვარ და სრულებით შეჩვეული არა ვარ ბატების ეურის გდებას.

ემაწვილი დარწმუნებული იეო, რომ მას ეხუმრებოდენ.

— მართალია მე სისულელე მამივიდა, რომ ბატები თქვენ მოგანაბრეთ, მაგრამ იმდენათ კი არ გავბრიყვდები, რომ დავიჯერო, მითომ თქვენ მართლა მეფე ბძანდებით!

— კარგი, რა გაეწეობა,—უთხრა მაქსიმილიანემ.— აჭა, ერთი ფლორინი კიდევ მიჩუქებია შენთვის. შევრიგდეთ.

ემაწვილმა ერთხელ კიდე აათვალ-ჩაათვალიერა კეთილი მეფე, ჩამოართვა ფული, თავი გაიქნია და უთხრა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მადლობელი ვარ, ბატონო. ვინც უნდა იყოთ, ეს კი გეტყობათ, რომ თქვენ ძალიან კეთილი ბძანდებით, მაგრამ დაისსომეთ კი ჩემი სიტყვა, რომ მებატეთ არასოდეს არ გამოდგებით!

— მართალს ამბობ, ჩემო მეგობარო, მაგრამ რა ვქნა, მე უფრო ბევრი დიდი მოვალეობა მაწევს კისერზე, და, ხო იცი, ყველამ კარგათ უნდა იცოდეს თავისი საქმე...

ალ. ბარნოვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯემს გარფილდის ცხოვრება

IX

ედა! დედა! თომა აკი მოდის!.. შეჰყვირა ერთ დილით ჯემსმა, თანაც ფანჯარასთან მიირბინა და დაიწყო სიხარულით ხტომა. შემდეგ შურდულივით გაექანა ბალისკენ.

ამ დროს ელიზა გარფილდისა ახალ ოთახში მუშაობდა, აიღო თავი და გადაიხედა ფანჯარაში. პირველ წამს ასე ეგონა—უმცროსი ვაჟი სწორეთ გადამერიაო, ისე უცნაურათ ჰყვიროდა და მიხტოდა ჯემსი. თვალის დახამხამებაზე მივარდა კარებს და გააღო. შორს მართლაც მომავალი თომა დაინახა, რომელსაც ექვსი თვის განმავლობაში გაფაციცებით ელოდა მთელი ოჯახი. მიახლოებისათანავე ორი ძმა გადაეხვიენ ერთმანეთს; ხელი-ხელს ჩაჰკიდეს და ისე წამოვიდენ შინისკენ, თანაც მუსაიფობდენ და იცინოდენ.

—აბა თომა, გაქვს თუ არა ფული დედისათვის ახალი სახლის ასაშენებლათ,—პირველ კითხვათ მიახალა ჯემსმა.

—რასაკვირველია მაქვს! სახლს დავდგამთ, ძველ ქოხში კი ქათმებს გადავიყვანთ.—მხიარულათ მიუგო თომამ.

—შვენიერი საქათმე არ გვექნება!

—ან კი როგორ შეიძლება, რომ რიგიან სახლთან, ეზოს შენობებიც რიგიანი არ იქნეს!—ხუმრობდა უფროსი ძმა.

ელიზა გარფილდისას დაავიწყდა თავის ხნიერობაც, ჩვეულებრივი თავდაჭერილობაც და ქალიშვილიანათ მირბოდა მისა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გებებლათ. სიხარულისაგან ფეხს მიწას არ აკარებდა და აი ერთ-მეორე სახვევზე კიდეც შეხვდა პირის-პირ თავის საყვარელ თომას. მათ სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. ეხლა მთელი ოჯახობა ისევ ერთათ იყო; ხეთა უკვე სრულ ასაკში მოსული ქალი იყო, ასე 23 წლისა. თომა ოც-და-მეორეში იდგა. ბედნიერი იყო ეს დღე გარფილდებისათვის!..

სახლში შესვლისათანავე, თომამ ამოიღო ჯიბიდან ერთი მუჭა ოქროს ფული და დედას კალთაში ჩაუჩხრიალა.

—აი, დედა,—დაატანა აღტაცებულის ღიმილით,—ესეც სახლის ასაშენებელი ფული.

—უიმე, რამდენი ოქროა!—წამოიყვირა ჯემსმა და თან განცვიფრებით ათვალიერებდა, თავის დღეში არ ენახა ამდენი ოქროს ფული ერთათ.—თომა, ბევრია განა ეს ფული? ჰკითხა მან.

— სწორეთ სამოც-და-თუთხმეტი დოლლარია.

— მერე ეს სულ შენი მონაგებია?

— სულ, უკანასკნელ გროშამდე.

— გენაცვა, დედა, შენ რაღას გაჩუმებულხარ? ჩაეკითხა დედას დაუცხრომელი ჯემსი.

დედა მართლაც გაჩუმებულიყო და გაუნძრეველათ იჯდა. მეტის გრძნობისაგან სულს ეეღარ ითქვამდა, მაგრამ ცრემლებს მაინც იჭერდა და საერთო ბედნიერ გრძნობა-მხიარულებას არ არღვევდა. ნეტავ ეხლა საცოდავ მამას შეეხვედა თავის შვილებისთვის! ღმერთმა არ დააცალა საწყალს, დამტკბარიყო მათი ბედნიერებით!.. ქ-ნ გარფილდისამ დიდხანს შეიკავა თავი, მაგრამ ბოლოს მაინც მოთმინებამ უმტყუნა, მსხვილ-მსხვილი ცრემლები წამოუვიდა თვალებიდან და კალთაში ჩადებულ ოქროს დაედინა.

ჯემსი დაიბნა; მას ვერ გაეგო რაზე ტიროდა დედა, როცა თომა შინ ჯანსაღათ და უვნებლათ დაბრუნდა, იმოდენა ოქროც მოიტანა.

—დედა, ახალ სახლს რომ აგიშენებ, მე მაშინვე ისევ უნდა წა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიდე,—ეუბნებოდა თომა,—მიჩიგანის შტატში აუარება სამუშაოა, უნდა გავათავო.

— როგორც გსურდეს ჩემო შვილო, ისე მოიქეცი,—უთხრა ღიმილით თვალ-ცრემლიანმა დედამ.—სახლს უშენოთაც ავაშენებთ. ვიქირავებ კაი დურგალს და იმას ვამუშავებ.

—ძალიან კარგი! ჩვენ ორივე ერთათ მოვკიდებთ საქმეს ხელს და უცებ გავათავებთ—მიუგო თომამ.

ჯემსმა განაცხადა, რომ მასაც აუცილებლათ სურდა მიეღო მონაწილეობა დედის სახლის აშენებაში.

უფროსი ძმაც დაეთანხმა, რომ უიმისობა არ იქნებოდა. მართლაც და ვინ დაამზადებს ყავარს, ვინ დაჭრავს ლურსმანს, ვინ მოიტანს კირს, სილას?

—ჩვენ ქალაქშიაც ერთათ წავალთ მასალის საყიდელათ,—თქვა თომამ და გადაეხვია ძმას.

ვერ წარმოიდგენთ ბავშის სიხარულს, როდესაც ქალაქიდან დაბრუნებისათანავე დურგალი და თომა შეუდგენ შენებას და მართლაც მოითხოვეს ჯემსის დახმარება. ჯემსის დახმარება მათთვის ძალიან საჭირო იყო და ოსტატი ხშირათ აქებდა ხოლმე პატარა მუშას. განსაკუთრებული სიმარჯვე გამოიჩინა ჯემსმა ლურსმნის დაჭედაში და ისიც კი მოახერხა, რომ უფროსი ძმის ხელმძღვანელობით ფიცრების გაშალაშინებაც შეისწავლა.

სახლის შენების საქმე ძალიან ჩქარა მიდიოდა. სამი ქვედა ოთახი—სულ მზათ იყო; მხოლოთ ზევითა ორი ოთახი არ იყო დასრულებული. მაგრამ ან კი შესაძლო იყო 75 დოლლარით ორსართულიანი სახლის აშენება? ისევ ღმერთმა უშველოს მეზობლებს, რომელთაც, გაიგეს თუ არა, გარფილდის ვაჟები თავის ხელით აშენებენ ახალ სადგომსაო, დაუპატიჟებლათ მივიდენ ახალგაზდა ხუროების დასახმარებლათ და ამათ, რასაკვირველია, შეუმსუბუქეს მათ სამუშაო. ჯემსი მუშაობას მუდამ ვერ ესწრებოდა. საოჯახო საქმეებს ბევრი ჯაფა და დავიდარაბა უნდებოდა. თუმცა დები და დედა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეძლებისადაგვარათ ეხმარებოდენ მას, მაგრამ მინდვრის სამუშაოს მარტო ის ასრულებდა. ამისდა მიუხედავათ დურგლის ხელობა ძალიან მოსწონდა მას და გულში კიდეეაც გადაწყვიტა ოდესმე უთუოთ ამ ხელობით ვიშოვი ფულსაო.

სახლიც დამზადდა და ოჯახობაც გადასახლდა ახალ შენობაში. თომა მიჩიგანს დაბრუნდა, ჯემსი კი სრულებით გაიტაცა ოჯახობამ.

— დედა,—უთხრა ერთხელ მან ელიზას,—მოვისაზრე კიდეც რანაირათაც უნდა ვიშოვნო ფული?

—რანაირათ?—ჩაეკითხა დედა.

— დურგლათ გავხდები.

—მერე სადა გაქვს, შვილო, სამაგისო დრო? ისედაც ნამეტან ჯაფაში ხარ,—შენიშნა დედამ.

— ვცდი, ნარდათ პატარა საქმეს ავიღებ, ვაკეთებ როცა თავისუფალი ვიქნები და მინდორში სამუშაო აღარ მექნება: უთუოთ მოვაგროვებ ფულს. ამაზე დავეკითხები ერთ ოსტატს.

დედამ არა უთხრა-რა. ბავშობიდანვე თავისუფლათა ზრდიდა და მათ სურვილსა და განზრახვას თავის დღეში არ ეწინააღმდეგებოდა, მხოლოთ წინდაწინვე გააფრთხილებდა ხოლმე, როდესაც გადაჭარბებით რაიმე გაიტაცებდა მათ.

კვირაც არ გასულა ამ ბაასის შემდეგ რომ ჯემსი სიხარულით მოვიდა დედასთან.

— დედა! ხომ ვიშოვე სამუშაო თითონ ჩვენ დურგალთან. შემომიკვეთა ფიცრების გაშალაშინება და ვადაც არ დამინიშნა. „მეო“, მითხრა, ვხედავდი, რა კარგათ მუშაობდი სახლში და დარწმუნებული ვარ, რომ ჩემთვისაც ისე ეცდებიო. მითხრა ხვალ მოდიო. ერთ თვეზე მეტს მე ამ საქმეს არ მოუნდები და ფულებს კი გავიკრავ. დედა, გენაცვა, წარმოიდგინე ეს, რომ ჩემგან პირველი იქნება შრომით ფულის მოგება!

—ჯერ ადრეა, შვილო შენთვის ფულის მოგება,—ალერსით შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიშნა დედამ—მაგრამ მე მაინც მოხარული ვარ, რომ სამუშაო გიპოვნია; მაშ როდის გითხრეს მისვლა?

— ხვალ დილით, რაც შეიძლება ადრე.

— ეცადე, შვილო, მეტის შრომით არ დასუსტდე, ორი-სამი საათი დღეში საკმარისია შენთვის მუშაობა.

— როგორ შეიძლება! მე მინდა ყოველ დღე ექვსი საათი მაინც ვიმუშაო. რას მოვასწრებ ორ საათში? ოსტატი მაშინ ხომ საასაცილოთ ამიგდებს, იტყვის: „დედასთან წასვლა მოუნდა ბარტყსაო“.

— მე მგონია, ისიც დამეთანხმება, რომ მავნებელია შენხელა ბავშისათვის ნამეტანი მუშაობა. მგონია, ეგ სამუშაოც განგებ შენთვის გამოიგონა. ხომ იცი რა რიგ უყვარხარ, მაგრამ, ჩემო ჯემს, შენ ნამეტანი თავ-მოყვარე ხარ და, თუ შენ ნებაზე გაგიშვა კაცმა, მზათა ხარ შრომით წელი მოიწყვიტო.

— მე დავბრუნდები ხვალ ორი ან სამი საათის შემდეგ, მხოლოთ იმ შემთხვევაში, თუ ან ხელი დავიშავე ან სულ დამითხოვეს, მკაცრათ და გადაჭრით დაასკვნა ჯემსმა. ამით გათავდა მისი საუბარი დედასთან.

მეორე დილას პატარა დურგალმა გამოიღვიძა იმ გარდაწყვეტილებით, რომ უსათუოთ დღეში ექვსი საათი მაინც ემუშავა; დედას რომ ენახა ჯემსი მიმავალი ოსტატის ქოხისკენ, მასი დინჯათ გამომეტყველი თვალები და მაგრათ მოკუმშული ტუჩები, უთოოთ შეატყობდა, რომ მისმა გაფრთხილებამ და დარიგებამ ფუჭათ ჩაარა.

დურგალი ელოდა თავის ახალ მუშას; მოსვლისათანავე უჩვენა დამზადებული ფიცრის გროვა. ჯემსმა მაშინვე გაიძრო კურტკა, წაიკოპიწა პერანგის სახელოები, აიღო შალაშინი და შეუდგა მუშაობას. ფეხზე არა ეცვა-რა, რადგანაც ფეხსაცმლის ჩაცმა, თუ არ ზამთარში სხვა დროს გარფილდიანთ მეტათ მიაჩნდათ. ყოველ ფიცარს 12 ფუტი სიგრძე ჰქონდა და სანამ ათს გააშალაშინებდა, ვინ იცის, რა და რა აზრი არ გაუელვებდა თავში და რამდენი ახალი გეგმა არ დაიბადებოდა ხოლმე მის ტვინში? თუმცა დაუღალავ მუშაკს

ეროვნული ბიბლიოთეკა

შუბლზე ხვითქი გადასდიოდა, მაგრამ ის მაინც მუშაობდა და ერთ წამსაც არ ჩერდებოდა. აი მზეც მიეფარა ტყეს.

— ბატონო ოსტატო! დაიძახა ჯემსმა: ასი ფიცარი მზათ არი, დაითვალეთ.

— არა მჯერა, მეგობარო! ასი ფიცრის დამზადება ასე ჩქარა ყოველათ შეუძლებელია.

— აი დაითვალეთ: ჩემის ანგარიშით სწორეთ ასია.

— ყოჩაღ! მართალია! განაცხადა ოსტატმა ფიცრების დათვლას შემდეგ. მაგრამ, ბიძიკო, შენხელა მუშისათვის ეს ძლიერ ბევრია. ხვალ ამის ნახევარზე მეტს ნუ გააშალაშინებ.

— რომ არ დაეღალულვარ ძალიან!—მიუგო ჯემსმა.

— მერე რა უყოთ, რომ ახლა არა ხარ დაღალული; შესაძლებელია ოც-და-ათი წლის შემდეგ შეგეტყოს ეს დღე.

— თუ კი ოც-და-ათი წლის შემდეგ გამიხსენებს, ეგ ხომ სალაპარაკოც აღარ ყოფილა,—სიცილით შენიშნა ჯემსმა.

— ეგ მართალია, მაგრამ შენ თავს მაინც გაუფრთხილდი. ახლა კი მოდი გაგისწორდე. ასი ფიცრისა გერგება რვა აბაზი, კაცმა რომ თქვას, მოჭარბებული ქირაა შენისთანა ბავშისათვის. ჰა, მიიღე ფულები.

ამ სიტყვებით ოსტატმა დაუთვალა ფული. ჯემსმა სიამაყით ჩაიდვა ჯიბეში თავის პირველი გასამრჯელო. ბავში სიხარულით აღარ იყო; მირბოდა შინ და თან მიიძახოდა: რვა აბაზი ერთათ! ვიმუშავებ 75 დღეს და ვიშოვი იმდენს, რამდენიც თომამ ნახევარი წლის განმავლობაში იშოვა. „ეაშა“-აა!.“.

მომავალი გამოჩენილი კაცი, ფეხ-შიშველა, უბრალო შალვარში, მუშაობისაგან გაწითლებული, ამ წამს თავის თავს მთელ ქვეყანაზე უბედნიერეს არსებათ თვლიდა.

— აი ეს სულ შენია, დედა! წამოიყვირა ჯემსმა, რაკი შემოვიდა ოთახში და ჩაუყარა დედას კალთაში ფულის გროვა.

— როგორ? ეს სულ ჩემია? მერე რამდენია აქ? ჩაეკითხა დედა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

—ჩემი დღიური ნამუშავარია, რვა აბაზი!

— განა მთელი დოლლარი იშოვე?

— დიახ, ასი ფიცარი გავაშალაშინე.

დედამ ხმა ველარ ამოიღო, ისე როგორც მაშინ, როდესაც თომამ მოუტანა 75 დოლლარი. იგი გადაეხვია თავის სასოება ჯემსს, ჩაიკრა მაგრათ გულში და კოცნა დაუწყო.

X

ჯემსმა ჩინებულათ გაათავა სამუშაო და შეეძლო კიდევ უფრო მოსაგები საქმეები აეღო, მაგრამ, რადგანაც ზამთრობით შენობებს აღარ აგებდენ, ის მხურვალეთ შეუდგა სასკოლო მეცნიერებას და ცდილობდა არ გამოეშვა არც ერთი დღე. დადგა თუ არა გაზაფხული, ელიზა გარფილდისასთან მოვიდა დურგალი და შეატყობინა: თქვენ ნათესავს ბოიტონს სასიმინდეს *) აშენებას დავპირდიო და ჩემთან ჯემსიც წამოვიდეს ამხანაგათაო. ჯემსი, რასაკვირველია, სიხარულით დათანხმდა ამაზე, ოღონდ ცოტა არ იყოს გაიკვირვა, როცა უთხრეს, რომ სანამ ასეთ საქმეს მოჰკიდებდე ხელს, როგორც სასიმინდეს აშენება არის, გეგმების ხატვა უნდა იცოდეო. მაგრამ ოსტატმა ამის სწავლებაც აღუთქვა.

— უკვეგმოთ, ჩემო კარგო, მუშა კაცი ბიჯსაც ვერ წადგამს წინ,— უთხრა მან.

— არა, მართლა? ჰკითხავდა ჯემსი და თანაც ეშმაკურათ ილიმებოდა.

—მე რომ ძროხის მოსაწველათ არავითარი გეგმა არ მჭირდება!

— მართალია, გეგმა არ გჭირდება, მაგრამ ზოგიერთი წესები მაინც ხომ უნდა იცოდე?—შენიშნა დურგალმა. აბა ერთი შინჯე—

*) სასიმინდეს ამერეთში ეძახიან სიმინდის გასაშრობელ და საცავ-ველ შენობას, ამგვარივე შენობა ეტიან ამერიკაშიაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და უდროოდ დროს წველე ძროხები, ხომ მაშინვე მოუკლებენ რძეს. ჩემო კეთილო, ყველას წესი და რიგი უნდა. თუ წინ-და-წინვე არ მოამზადებ შენობების გეგმას და არ იეარაუდებ ხარჯს, რამდენი მოგინდება ფიცარი, ლურსმანი, ხე და სხვ., ვერაფერ შენობას ვერ ააგებ რიგიანათ.

რამდენსამე საღამოს დურგალი ასწავლიდა ჯემსს ხაზვას და ხუროთ-მოძღვრებას. ყმაწვილი აღტაცებით ეძლეოდა სხვა-და-სხვა შენობების გეგმების შედგენას.

როდესაც ააგეს სასიმინდე, ოსტატმა მისცა ჯემსს ოცდოდ დოლლარი და უთხრა: ღირსი ხარ და სწორეთ გერგება ეს თანხა.

სკოლაში სიარულსაც უსარგებლოთ არ ჩაუვლია ჯემსისათვის: ისე განვითარდა, იმდენი მრავალ-ფეროვანი ცოდნა შეიძინა წიგნების გულ-დადებული კითხვით, რომ ხანდისხან თვით მასწავლებელსაც კი გააჩუმებდა ხოლმე. ჯემსი რამოდენიმე საათობით იწვა შინ იატაკზე, გუგუნა-ბუხრის წინ და ჰკითხულობდა არითმეტიკას და აკეთებდა იქ მოთავსებულ ამოცანებს. იქამდე მიახწია, რომ მთელი წიგნი, თავიდან ბოლომდე, გაიზეპირა. ერთხელ მასწავლებელს ერთი არითმეტიკული ამოცანის ახსნა სწორეთ არ ეჩვენა, დამტკიცება კი ამისი ვერ შეეძლო და სირცხვილით თანდათან უფრო და უფრო წითლდებოდა. მაშინ ჯემსმა განაცხადა:—მე კარგა ხანია ეგ ამოცანა შინ გავაკეთეო და ახსნაც სწორი გამომივიდაო. მასწავლებელმა უბძანა—აბა გააკეთე ხელ-ახლათ შენს დაფაზედ და მაჩვენეო. რამდენსამე წამს შემდეგ ყმაწვილმა მიართვა დაფა: ამოცანის ახსნა წიგნში მოთავსებულს სრულიათ ეთანხმებოდაო.

— მართალი ხარ, ჯემს, მე შემეშალა! უთხრა მასწავლებელმა.

ღმერთო ჩემო! რა აღტაცებაში მოვიდენ შეგირდები. საზოგადოთ, უმცროს გარფილდს სკოლაში ყველა, როგორც უნიჭიერეს ყმაწვილს, ისე უყურებდა და ახლა დახეთ—თვით მასწავლებელსაც კი აჯობა. რასაკვირველია ამ დღეს შემდეგ ახალგაზდა მათემატი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოსმა კელაეინდელზე მეტი პატივისცემა მოიპოვა თავის ამხანაგებში. საარითმეტიკო კრებულს გარდა ჯემს კიდევ ჰქონდა ერთი საყვარელი წიგნი: „რობინზონ-კრუზოს თავ-გადასავალი". ამ წიგნს თავისუფალ დროს ვერ იშორებდა, ათჯერ მაინც ჰქონდა გადაკითხული. ხშირათ ეტყოდა ხოლმე დედას:—ამ წიგნის ბადალი სხვა არ მოიპოვება რა ქვეყანაზედაო.—კითხვაში მის მუდმივ ამგანაგათ მისი ბიძაშვილი ულიამ ბოინტონი იყო; ორივემ, მასწავლებლის ნებართვით, ზამთრობით სკოლის ოთახი სამკითხველოთ გადააქციეს და მთელ თავისუფალ დროს აქ ატარებდენ.

აი, სხვათა შორის ორი შემთხვევა ჯემსის ბავშობის დროიდან, რომელნიც ნათლათ გვაჩვენებენ, თუ რამდენათ გამორკვეული იყო ამ დროს მომავალი სახელოვანი ამერიკელ მოღვაწის ხასიათი.

შაბათი დღე იყო. ერთი ამხანაგი, სახელათ დავითი, იწვევდა ჯემს გარფილდს:—ვესტუმროთ ამ-და-ამ ნაცნობსაო. (ეს ნაცნობი ოგიოდან კარგა მოშორებით ცხოვრებდა).

— კვირა დღეს კი სწორეთ ვერ წავალ,—უთხრა ჯემსმა.

— აბა რატომ?—წამოიყვირა დავითმა.

— ჩვენ ოჯახში კვირაობით სხვაგან სიარული არაა მიღებული, დედა არ გამოშიშვებს.

— ძალიან საჭირო არის, რომ ყველაფერი დედას არ მოახსენო! მე არაოდეს არ ვთხოვ ხოლმე დედას ნებართვას!

— ეგ შენ იცი, მე კი დედის ნება დაურთველათ არსად არ დავდივარ. მას სურს რომ კვირაობით შინ ვისხდეთ; ამიტომაც,—გადაწყვეტით უპასუხა ჯემსმა,—კვირა დღეს ვერსად ვერ წამოგყვები.

— აბა საქმე დღეს შენ არ გცალიან და, მაშასადამე, ჩვენი მოგზაურობა ვერასოდეს ვერ მოხდება!

— დედისაგან დადგენილ წესების დარღვევას ისევ ის მირჩევნია, რომ არასოდეს არ მოხდეს. მოიცადე, ვინ იცის ეგებ შეგვხვდეს თავისუფალი დღე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეიცი, რასაც ნიშნავს შენი „მოიცადე“,—დასცინა დავითმა. —უნდა გიცადო, გიცადო და კი არა გამოვიდეს-რა!

— რასაკვირველია, თუ მაინც-და-მაინც კვირა დღით გინდა სტუმრათ წასვლა,—მიუკო ჯემსმა,—მართლა ბევრ ხანს დაგჭირდება მოცდა. ეთქვათ ცოდვაც რო არ იყოს კვირა დღით მხიარულება; მე მაინც სინიდისი დამტანჯავს დედის წინაალმდეგი საქმე რომ ჩავიდინო. იმავე დავითმა მეორეჯერაც გვარიანი დარიგება მიიღო ჯემსისაგან. გარფილდიანთ ოჯახში ერთი ბებერი კატა იყო, რომელიც ჯემსს ძლიერ უყვარდა: ყმაწვილს და ლრუტუნას ერთმანეთის გამოლაპარაკების მეტი აღარა აკლდათ-რა. ერთხელ, როცა ორივე ბაღში იყვენ, ჯემსი კვალში რაღასაც თხრიდა, კატა კი მზეზე თბებოდა. მოვიდა დავითი და საბრალო კატას უმიზეზოთ ქვა ესროლა. კატა შეშინდა და მაშინვე გაჭრა. ჯემსმა დავითს ამნაირი საქციელი პირად შეურაცხყოფათ მიიღო.

— აბა ეგ რასა ჰგავს!

— კატას რომ ქვა ვესროლე? ჰკითხა დავითმა.

— სწორეთ უგულო უნდა იყოს ადამიანი, რომ ეგ ჩაიდინოს!

— მე რა ვიცოდი, თუ შენი კატა იყო!.

— საქმე ის კი არ არის, ვისია კატა; ვისიც უნდა იყოს, კატა მაინც კატათ დარჩება.

— თაგვი კი თაგვათ,—ვითომ იოხუნჯა დავითმა.

— არ შემიძლია ავიტანო პირუტყვის წვალება,—წამოიძახა ჯემსმა.

— ყმაწვილო, ეგ ხომ კაცი არ არი; კატაა და მეტი არაფერი.

— კარგია!—უფრო და უფრო ბრაზდებოდა ჯემსი: მაშ შენ არაფრათ მიგაჩნია პირუტყვის წვალება. მხოლოთ იმიტომ რომ ის, ძაღლია და მეტი არაფერი! მე ეგ ვერ გაშიგია სწორეთ!

— მერე რა საკადრისია ასეთი გულ-ჩვილობა. თაგვები რომ ცხვირზე დაგაჯდენ და ზედ თამაში დაიწყონ, შენ მათ ხელსაც არ ახლებ რაღა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჰოო! მაგიერათ შენ ცხვირზე ხომ ვერ ითამაშებენ საწყლები. მაშინვე დახოცამ, კრინტსაც არ დააძვრევინებ.

— თუ ღმერთი გწამს, მოთხოვე ჩემ მაგიერათ ბოდიში შენ კატას,—დაცინვით შენიშნა ლავითმა. —მე დიდად ეწუხვარ, რომ შეურაცხ-ყოფი მისი კატური უგანათლებულესობა. დღეის იქით უნდა დავუმეგობრდე კატებს.— თქვა ეს ლავითმა და გაიქცა.

როდესაც ბავშებს სჩაგრავდა ვინმე, ის კიდევ უფრო მხურვალე მოსარჩლე და მფარველი იყო; ცოცხალი, ბუნებით ცელქი, ის თავის დღეში არ ცბიერობდა და არ ქვეშქვეშაობდა, ყოველთვის პირდაპირ, გულ-ახდით ლაპარაკობდა და მოქმედობდა. ის ვერ ითმენდა, როდესაც შეგირდები ერთს რომელიმე ამხანაგს ამოითვალწუნებდენ ხოლმე. მათ სკოლაში ერთი ბავში სწავლობდა, ისეთივე ობოლი, როგორიც თვით ჯემსი იყო, მხოლოთ იმ განსხვავებით, რომ მას არც უფროსი ძმა ჰყავდა და არც სხვა ვინმე, რომ გამოსარჩლებოდა. ზოგიერთმა მოზდილმა ყმაწვილებმა ჩვეულებათ შემოიღეს წვალება ამ საცოდავისა. ეს მეტათ აშფოთებდა ჯემსს და მიუხედავათ იმისა, რომ ცელქები ბევრათ მეტი იყვენ მაზედ, გაბედულათ შესძახა მათ ერთხელ:

— რას შერებით, არა გრცხვენიანთ მაინც! თუ ამას არ მოშორდით, ნახავთ აბა, რა დღე დაგაყენოთ!..

— ერთი უყურეთ რა გმირი გამოჩენილა! წაიმოიყვირეს ცელქებმა. რაში მოგვიდა ამ ბავშის გამოსარჩლება?

—ამას ჩემსავით არც მამა ჰყავს და არც უფროსი ძმა, რომ გამოესარჩლოს და აქ კი მე ვიქნება ამისი მამაც და ძმაც.

— მაშ შენ ერთ-და იმავე დროს წარმოგვიდგენ პაპასაც და ძამიასაც? გვესმის! წამოიბღავლა აყლაყუდა შეგირდმა, რომელიც ყველაზე უფრო აწვალებდა საწყალ ობოლს.

—რაც გინდათ ის დამიძახეთ, ჩემთვის სულ ერთია, ოღონდ არ გაბედოთ კი ამის ხელ-ს შეხება. ამის მაგიერათ ჩემთან გექნებათ საქმე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ დღეს შემდეგ ვერც ერთი შეგირდი ვერ ბედავდა უწინდელი ცელქობის გამეორებას, ყველამ კარგათ იცოდა, რომ ჯემს გარფილდთან ხუმრობა არ გაუვიდოდათ. დედის კალთის ქვეშ ცხოვრების უკანასკნელმა ორმა წელმა დიდი სარგებლობა მოუტანა ჯემსს ფიზიკურათ და ზნეობრივათ. ტანი აიყარა, გალონიერდა და 14 წლისა ნამდვილ შვენიერ ჭაბუკათ შეიქნა. არავის არ შეეძლო მაზედ უფრო მარდათ სიარული, არც რბენა; ვერავინ ვერ ახერხებდა მისებურათ მაღლა და ცქვიტათ ხტომას, საზოგადოთ ისე კარგათ ეჭირა თავი და ისე გონიერათ ბაასობდა, რომ 18 წლის ახალგაზდას მიეგვანებოდა. ყველა ახალ-მოშენე ძლიერ პატივსა სცემდა; მას შვენიერი დურგლის, დახელოვნებული მხატვრის და გამოცდილი მეფერმის სახელი დაუვარდა, რის გამოც ყოველ მხრიდან სამუშაოთ ეპატიჟებოდენ. დედას თავი მოსწონდა ჯემსით, ოღონ ხანდისხან აწუხებდა ის ფიქრი, რომ ამ დიდ-ბუნებოვან ყმაწვილს უფრო ფართო ასპარეზი ესაჭიროებოდა და მისთვის, მათი ძელური ძალიან ვიწრო ასპარეზი იყო; იგი არ კმაყოფილდებოდა მარტო მეოჯახობით. არწივი თავის მშობლიური ბუდიდან შორს მიისწრაფოდა, ახალ ადგილებში და ახალ ადამიანებში, ცხოვრების ახალ გეგმას ადგენდა. ჯემსის ამნაირი თავ-მოყვარეობის ნიშნები დედას აშინებდენ.

— ნუ ჩქარობ, შვილო,— ეტყოდა ხშირათ ჯემსს, როდესაც ყმაწვილი ჩვეულებრივის აღტაცებით მოუყვებოდა ხოლმე თუ რა ხაირათ ჰქონდა მას წარმოდგენილი უფრო ბრწყვინვალე მომავალი მათი ოჯახობისათვის.— მოითმინე, უფალი თვით გიჩვენებს გზას ახალი დიადი მომავლისაკენ. მისი ბრძანების მომლოდინე იყავი.

მორჩილი შვილიც ითმენდა, კმაყოფილდებოდა დურგლის ხელობით, ბეჯითათ უვლიდა ოჯახობას და თანაც სკოლაში სწავლას თავს არ ანებებდა.

ბატუა.

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქრისტეს პირველი ხატი.

ერის ქალაქში ცხოვრებდა მეფე ავგაროსი. ერთხელ ეს მეფე ძრიელ ავათ გახდა. ბევრი უექიმეს და ვერა უშველესრა. მეფე ავგაროსს გაგონილი ჰქონდა, რომ იმ დროს ურიების ქვეყანაში ვიღაც იესო ქადაგებდა, რომელიც მრავალ საკვირველ საწაულებს შვრებოდა: ავათ-მყოფებს ერთის სიტყვით ჰკურნავდა და მკვდრებსაც-კი აღადგენდა.

ავგაროსს ძრიელ სწადდა მისი ნახვა, მაგრამ თვითონ არ შეეძლო წასვლა და მოწვევაც მისი ეძნელებოდა, რადგანაც შორს იყო. სხვა რო ველარა გააწყო-რა, ადგა და ერთი თავისი უკეთესი მხატვარი გაგზავნა და უბრძანა: წადი, ნახე ქრისტე, მისი სახე გადმოხატე და მოგიტანეო. მას, ალბათ, ისეთი სასოება ჰქონდა, რომ ისიც საკმარისათ მიაჩნდა, მისი სახე ენახა და შეეედრებოდა შველას. მხატვარიც მოემზადა და გაემგზავრა ურიათა ქვეყანაში. როცა დაბინავდა ქალაქში, ერთს დღეს მივიდა ქრისტეს სანახავათ, მაგრამ ის სწორეთ იმ დროს მივიდა ქრისტესთან, როცა იგი ხალხს უქადაგებდა. საკვირველი სანახავი იყო მაცხოვარი ამ დროს: ჰირის სახე მზესავით

ეროვნული ბიბლიოთეკა

უბრწყინავდა და მისი ღვთიური სიტყვა უსებლიეთ ჩაინ-
ნებდა მსმენელების გულს. აუარებელი ხალხი გარს ეხვია
და გაკვირვებით ეურს უგდებდა მის ქადაგებას.

მსატვარი განზე გადგა და მოინდომა მისი სახის გა-
ადღება, მაგრამ ამაოთ. ქრისტეს სახე ბრწყინავდა და წა-
მის-წამ იცვლებოდა. ვერას გზით ვერ მოახერხა მისი და-
სატვა. არ იცოდა რა ექნა. ქრისტე, რასაკვირელია, ეკე-
ლაფერს მიხვდა.

როცა ხალხის სწავლებას მორჩა, მოითხოვა წყალი,
პირი დაიბანა და ტილოთი შეიწმინდა. ამ ტილოზე სას-
წაულით გამოიხატა მისი შვენიერი სახე. ეს სატი მან
ავგაროზის მსატვარს გადასცა და გაატანა მეფესთან.
ავათ-მყოფი მეფე იმწამსვე განიკურნა, როგორც კი ისილა
ქრისტეს სატი და ემთხვია.

ჩვენ ახლა ამ ქრისტეს სატს „ხელთ-უქმნელ" სატათ
ვუწოდებთ. ეს ძველის-ძველი და მვირფასი სატი ასვენია
„ანჩისატის" სობოროში.

გ. წყალტუბელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უგრალო ამგავი.

(ფრანგულიდან)

პატარა თმა ხუჭუჭა, მსიარული და ცქრიალა ბავში თამაშით და ხტუნვით სათიბისკენ მირბოდა. გზაზე შეჩერდებოდა სოლმე და მსიარულათ ამბობდა:

— ეველა ევავილები უნდა დავგლიჯო, ეველა ჰეჰელები უნდა დავიჭირო და მწიფე მარწყვი უნდა მოვკრიფო.

ჩემო გვრიტო, ჩემო ცელქო შავ თვალა ბავშო, შეხე, მინდორში რამდენი ევავილებია! აგერ ტეეში რამდენი მარწყვია, აი რამდენი ჰეჰელა დაფრინავს!

გავიდა თუ არა ემაწვილი მინდორზე, ორ საწყალ პატარა ბავშს შეხვდა; ისინი ფეხშიშველა იყვენ და მონმები ეცვათ; ნაწვერალში თავთავს აგრეკვებდენ; დილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოკიდებული იქ იყვენ, მაგრამ თავთავი მაინც ბალახს ცოტა მოეგროებინათ.

—თუ ამათ არ ვუშველე, ესენი ბევრს ვერ მოაგროვებენო,— თქვა თავის გულში ჩვენმა ემაწვილმა და მათთან ერთათ ნაწვერალში დარჩენილ თავთავს დაუწყო კრეფა. ყანები მთლათ დაიარა და არ მოეშვა, სანამ უფროს ემაწვილს კალთა თავთავით არ გაუვსო. დრო მიდიოდა; ყვავილები კი მას სრულიათ მიავიწყდა...

ცოტა მოშორებით, ბორცვის დაკლაკნილ ბილიკზე, სადაც ყვავილების თავზე პატარა თეთრი, ლურჯი, წითელი,—ერთის სიტყვით, ათასფერი ჰეჰელები დაფრინავდენ, ქვაზე მარტოთ-მარტო იჯდა ერთი პატარა მწყემსი; ის მალიან დაქანცული იყო, ტიროდა და ერთობ შეწუხებულიყო, რადგანაც თხები გაქცეოდა და დაჭფანტოდა; როცა მახილი დაეწყო და მათ მოსაბრუნებლათ გაქცეულიყო, თხები გაჩერების მაგიერათ უფრო შორს გაქცეულიყვენ, მაღალ კლდეზე ასულიყვენ და ბუჩქნარში მიმალულიყვენ.

—ნუ ტირი, უთხრა ემაწვილმა: მე მოგიგროვებ თხებს. ამ სიტყვებით გასწია ბუჩქნარისკენ და კლდეზე აცოცდა; ხან ერთ თხას გამოუდგა, ხან მეორეს და ამგვარათ ყველას თავი მოუყარა. ამასობაში ჰეჰელების დაჭერა მას სრულებით გადაავიწყდა.

ვინ არის, ნეტავი, ტყეში მაღალ ხეებ ქვეშ? ეს მახ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობელი სოფლიდან ჰატარა გოგო და ბიჭები, რომ-ლებიც ფიჩხს აგროვებენ. როცა ჩვენი ცელქი უმაწვილი მირბოდა, გაჩერდა და მათ შეხედა.

— სალამო ჟამია და ამათ კი ჯერ ვერაფერი მოუგროვებიათ, — თქვა უმაწვილმა თავის გუნებაში, თანაც გაიფიქრა: „შეიძლება ამათ დედა კიდეც გაუჯავრდეს? არ მინდა, რომ ამათ ვინმე გაუწყრესო“. მან სწრაფათ დაუწყო ჩირგვებში ფიჩხს კრეფა და მუხის ძირას შეაგროვა. ერთი კონა მოკრიფა თუ არა, მოჭქნა წკნელი და მაგრათ შეჭკრა. ამას შემდეგ მან შენიშნა, რომ საწყალი ჰატარა ბალღებისათვის ეს კონა ძალიან მძიმე იქნებოდა.

— მე თვითონ უნდა მიყუტანო ქოხის კარებამდე, თქვა უმაწვილმა თავის გულში, მოიკიდა ფიჩხის კონა ზ წინ გაუძღვა.

მწიფე მარწყვი კი, რომელიც ბალახებში გამოიყურებოდა, უმაწვილს აზრათაც აღარ მოსვლია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავინახე, როცა ის სათიბის ბილიკზე სახლისკენ მიდიოდა. ეტყობოდა, რომ დაღალულ-დაქანცული იყო; სახლში ხელ-ცალიერი ბრუნდებოდა; რაც განიზრახა, არაფერი არ აუსრულდა: ყვავილების დასაკრეფათ წავიდა და ამის ნაცვლათ კი ჰურის თავთავი მობოჭა; ჰეჰელებს უნდა დადევნებოდა და თხების დენით კი დაიღალა; მარწყვის მაგიერათ ტყეში ფიჩხი მოაგროვა. მაგრამ ამის მიუხედავათ ის მაინც თავის გულში უფრო მხიარული იყო, ვიდრე სახლიდან გასვლის დროს.

— ძეც კარგათ ვიცი მისი მხიარულების მიზეზი, მაგრამ არ ვიტყვი; თუ თქვენც იცით ეს, ემაწვილებო, თუ თქვენც მიხვდით მისი მხიარულების მიზეზს, ნურავის ნუ ეტყვით, ნურც მე—ნურც სხვას; მხოლოთ დაიხსომეთ ეს დიდხანს და არ დაივიწყოთ. მიჭბაძეთ ხოლმე ამ ემაწვილს და მაშინ თქვენც ყოველთვის მხიარული იქნებით.

ვანო.

ულცხო და თავისიანი.

(რუსულიდან.)

ერთი ვინმე სეირნობის დროს თავს წაადგა საბელოსნოს, სადაც ვერცხლის ნივთებს აკეთებდენ. ვერცხლი კვერის თითოეულ დარტყმაზე სუსტათ კვნესოდა. აქედან ის ოქრო-მჭედელთან მივიდა და ნახა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ იქაც ოქრო კვერის კაკა-კუკზე კიდევ უფრო სუსტ ხმით კვნესოდა. ბოლოს იმან გაიარა სამჯედლოსთან, სადაც რკინის ზოდი კვერების რახა-რუხზე მაღალისა და შესაზარის ხმით ოხრავდა, ჰგმინავდა, კვნესოდა. მეთვალეურე მიუბრუნდა რკინას და ჰკითხა:

—გასაკვირველია, ღმერთმანი, რომ ვერცხლი კვერის დაკვრით წუნარათ ტიროდა, სათუთი და სუსტი ოქრო იმავე ჩაქუჩის ცემით კიდევ უფრო წუნარათ, დამშვიდებული კვნესოდა, ხოლო შენ, ტლანქი, მაგარი, უბრალო რკინა, ისეთი ხმით ღრიალებ, ხმაურობ და ერთი ვაიუშველებელი გაქვს, კაცს ასე ჰგონია შენ უფრო გრძნობდე, შენ მეტათ გეწვავებოდეს ამ კვერის ცემა, ვიდრე სუსტ აგებულების ვერცხლსა და ოქროს?!

—რო იცოდე, სწორეთ ასეა და მართლათაც შეგინიშნავსო, მიუგო რკინამ: „მე გაცილებით მეტ ტკივილსა და შეწუხებას ვგრძნობ ოქრო-ვერცხლთან შედარებით, იმიტომ რომ იმათა სცემს უცხო, ხხვა—რკინის კვერი, მე კი—თავისიანი, ჩემივე ძმა—რკინის კვერი მცემს, მტანჯავს, მაწვალებს და მიტომაც ეს ცემა ჩემთვის შეუდარებლათ მწვავე და საგრძნობელიაო“...

თეოფ. კანდელაკი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წვრილმანი

ხალხური ლექსები.

(წარმოდგენილი ო. კანდელაკისაგან).

კოტე ჩუბინაშვილის ნათქვამი.

ამოიშალა ღრუბელი, გადმოეფარა მთებსაო
შიგ კვესივით აკვესებდა, ცეცხლივით ანათებსაო.
შიგ რალაცა რუხრუხებდა, თითქო ისროდენ ქვებსაო.
დაედგები, პირჯვარს დაიწერ შეეხვეწები ღმერთსაო.
„მანდედან არა დაგვცე რა, ნუ აგვიტირებ ბედსაო“.
ხეები წყლითა აივსო, მოაწვა მეჯერიხევსაო,
სულ ტლაპოთ და წყლით გვივსებდა გამართულ ოჯახებსაო.
ფქვილის გოდრები ასწია ახალა ერთმანეთსაო;
შეგვიდგა უშველებელი, შეებღავლეთ ერთმანეთსაო.

ახლანდელი ახალგაზდა,
კერპი, კუმიტი გამოვა,
დედ-მამა რომ დაარიგებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმის ყურებ'ში არ შეევა;
ჩაიცვამს კოხტა ჩუსტებსა,
შინ ბაკა-ბუკით წამოვა.

(ქართლში ჩაწერილი ალ. სოლოღაშვილისაგან)

ჰეი, ბიჭო, მანგლისელო,
შენ დაკარგე ლურჯი ცხენი,
ქალამნები გაგცვეთია,
ნალვერდალში წაყავ ფეხი.

გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი

(წარმოდგენილი თ. კანდელაკისაგან).

კაცი ვნახე უშობელი, არ ეწოვნა დედის ხსენი,
მას გვერდს ახლდა დედაკაცი თავის გვერდით მონახსენი,
ჭამა რამე, გემო მწარე, ეშმაკისგან მონახსენი.

ქუდი ხისა, მუცელი თმისა, ზამთარ ზაფხულ სულ თოვლს.

(წარმოდგენილი ვ. არდიშვილისაგან)

ძირი მიწას, შუა ბაგას, თავი ჩვენ, კვდარსა და ცოცხალს.

ალის ფერათ ავყვავდები, ხელს შევრჩები ლამაზიო;
ვერც გამომჭრის კარგი მჭრელი, ვერც შემკერავს ხარაზიო.

ა ნ დ ა ზ ე ბ ი.

(გურამიანიდან)

თქმულა სიბრძნესთან სიგიჟე, ვითა ცოცხალთან მკვდარია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარგ საქმეზედა მიბაძვა, აბა, რა დასაძრახია;
სწავლაზე ურჩი და მორცხვი თვალით არ დასანახია.

სჯობს ყოლა უწვრთის ძაღლისა უწვრთელის შვილის ყოლასა.

გეომეტრიული ამოცანა

(წარმოდგენილი თ. კანდელაკ'საგან).

ორი თაბახი ქაღალდი, რომ შეიკეცოს სამ სამ თანასწორ ნაწილათ, ერთი სიგძეზე, მეორე სიგანეზე და შემდეგ მოიჭრას თითო მესამედი ნაწილი თითო თაბახიდან, დარჩება ორი ფართო ზოლი ქაღალდი, რომლებიც პირი-პირს არ გაეწყობიან, ერთი მეორეს რომ დაეფაროს. როგორ უნდა გაიჭრას ერთი ფართო ზოლი, რომ პირი-პირს მოვიდენ ერთი მეორეზე.

ჩქარა გამოსათქმელი.

(წარმოდგენილი ვანო არდიშვილისაგან).

ამ ჩემს კურდღელს დავასახნის, დავატაბიკ-აპეურებინებ, როგორც დავასახნის, დავატაბიკ-აპეურებინებ—ისე ამოვა სახნის, ამოვატაბიკ-ამოვააპეურებინებ.

ეპიტეზისი

(წარმოდგენილი გ. ფრალოვისაგან).

გ—ჟ—ნ—რ—ე—ტ—ყ—ნ—რ—ა—ქ—ე—ი—ვ—ო.

შარადა

(წარმოდგენილი თ. კანდელაკისაგან).

ღამის ერთ ფრინველის სახელს და ოთხჯერ ოთხის ნახევარს, რომ მიეუმატოთ თანხმობის აღმნიშვნელი სიტყვა, მივიღებთ შინაურ პირუტყვს, რომლის ხორცის ჭამის კანონი უკრძალავს ზოგიერთ რჯულის ხალხს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

(წარმოდგენილი ი. ეწერელისაგან).

პირველი სიტყვა ხილია
ტურფა და შვენიერია;
ზოგი თეთრია და ზოგი
შავი და წითელ ფერია.
მეორე მარცვალს თუ იცნობთ
ყარის შემდეგა სწერია,
მესამეს იას სახელი
ნახევრათ დაუჭერია.
მთელი სიტყვა კი არ არის
გამოსაცნობათ ძნელია:
ლოგინის ერთ-ერთ ნაწილის
ერქმევა მას სახელია.

რ ებ უ ს ი.

(წარმოდგენილი სოლ. გოშაძისაგან).

სასროლი
იარაღი.

25
დეკემბერი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ც

ც

ე

ო

ი

მ ვ

ს ტ

10

მანეთი.

კო ს

ს

ი

ს

ლ

ი

ცხენს რო ნი-
შან დასმენ რა
ჭკვიან

ვ

ურის
ნიშანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ VI გამოცანების ახსნა:

1) ჩრდილი. 2) სოკო. 3) ნაცარი, ბოლი და ცეცხლი. 4) ძაღლი.

სამათემატიკო გამოცანა:
როცა ოც-და-რვა იყო ასე მოთავსდენ:

2	5	2
5	ოსტ.	5
2	5	2

4	1	4
1	ოსტ.	1
4	1	4

როცა ოცი დარჩა ასე:

ეპიტეზისი: ურიამ ფული გასცა ვიზედაო თავის ცოლსა და შვილზედაო.

შარადა: მექვაბე.

რებუსი: ყვავს რომ კაკალი წაართვა, ისიც კარგია.

რებუსი ახსნეს ქუთაისში: გემნაზიის 3 კლასის მოწაფემ ალ. ლოლობერიძემ. ოზურგეთში სასულიერო სასწ. მოწაფე გ. სიამაიშვილმა. გამოცანა და რებუსი ფირალოვმა.

რედაქტორ-გამომცემელი ს. თუმანიშვილი-წერეთლისა.